საერთო გაზეთი

№31 (489) • 29 აგვისტო, 2018წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

ფრაუ მერკელი და საქართველოს მარტოობის ოცი საუკუნე

ოკუპაცია, ყოჩაღი კონსტანტინე და სერგია, რომელიც წყალს მიჰქონდა

ვახტანგ ხარჩილავა:

კონსტანტინე შუბითიძემ იმარჯვა და, როგორც იქნა, დააცდენინა ფრაუ მერკელს, რომ საქართველოს ტერიტორიის ნაწილი ოკუპირებულია.

შუბითიძის მოხერხება რომ არა, შეიძლება ვერც ჩვენ და ვერც დანარჩენ მსოფლიოს ვერასოდეს გაეგო, რომ ოკუპირებული ვართ.

მართალია, ფრაუ მერკელმა

სიტყვა ოკუპაცია ისე გადმოუგდო კონსტანტინეს, როგორც ბებია გადაუგდებს კანფეტს აბეზარ შვილიშვილს, მაგრამ ეგ არაფერი – მთავარია, რომ სიტყვა ოკუპაცია, როგორც იქნა, დასცდა ქალბატონი ანგელას ბაგეებს, რასაც მქუხარე ტაშით შევხდა დამსწრე აუდიტორია, შემდეგ კი ეს ეიფორიული განწყობა მთელ ქვეყანას განეფინა.

საზეიმოდ და სადღესასწაულოდ გვაქვს საქმე, აბა, რა – ფრაუ მერკელმა აღიარა, რომ ოკუპირებული ვყოფილვართ თურმე, მერე კი, ამაში ბოლომდე რომ დარწმუნებულიყო, წავიდა და ოძისში ჭოგრიტით, საკუთარი თვალით დაათვალიერა რუსული სამხედრო ბაზა.

თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაში, როცა კოსმოსიდან იმის დაფიქსირებაც კი შეუძლიათ, რა ხდება რომელიმე მივარდნილი სოფლის ორღობეში, ჭოგრიტში ჭვრიტინი რა საჭირო იყო, მაგრამ საკუთარი თვალით ნანახს, ეტყობა, მაინც სხვა ხიბლი აქვს.

ოკუპაციის აღიარებამ კი გაგვაბედნიერა, მაგრამ იმან, რაც ამ თემას ფრაუ მერკელმა მოაყოლა, ჩვენს ბედნიერებას ცივი წყალი გადაასხა, თუმცა ეს ამბავი მხოლოდ ასე თუ ისე მოაზროვნე და ჭკუადამჯდარ ქართველებს დაემართათ, თორემ ნაცებს და მათ ფანებს გინდ ცივი წყალი გადაასხი, გინდ საყინულეში შედგი – მათ გახურებულ თავებზე არაფერი არ მოქმედებს.

– ზუსტად იმიტომ, რომ აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი ოკუპირებულია, საქართველოს შესვლაზე ნატოში ერთი ხუთი წელი არც იფიქროთო, – გვაუწყა ქალბატონმა ანგელამ გერმანული პირდაპირობით და პატიოსნებით.

ვიღაც-ვიღაცებს კარგი რომ ეგონათ, რა ცუდი ყოფილა ეს ოხერი ოკუპაცია – მაგის გამო კიდევ ხუთი წელი ნატოში ვერ შევალთ თურმე.

ხუთი წლის მერეც ოკუპირებულები რომ ვიყოთ, კიდევ ხუთი წლით გადაიდება ჩვენი გაწევრიანება ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში, მერე კიდევ ხუთი წლით, მერე კიდევ ხუთი წლით?

ამასობაში აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი, არ არის გამორიცხული, გაეროშიც გაწევრიანდნენ, ხოლო კონსტანტინე შუბითიძე შეიძლება, იმ დროისთვის, უკვე ბაბუა იყოს...

●

ფრაუ მერკელი ისე წავიდა საქართველოდან, რომ მას ვერავინ ვერ უთხრა, თუ რამდენი რამ აკავშირებს გერმანიას საქართველოსთან.

„დაკითხვას“ რომ ვუწყობდით ამ ცნობილ გერმანელ პოლიტიკოსს, იქნებ სჯობდა, ეს დრო „დაკითხვისთვის“ კი არა, იმისთვის დაგვეხარჯა, რომ გერმანელი სტუმრისთვის „საქართველოს გერმანია“ გვეჩვენებინა.

ბევრმა ქართველმა და კიდევ უფრო ბევრმა გერმანელმა არც იცის, რომ აგერ შუაგულ საქართველოში გერმანული კოლონიები არსებობდა, სადაც გერმანელთა რამდენიმე თაობა აღიზარდა.

გერმანელები საქართველოში 1817 წელს გამოჩნდნენ, ხოლო 1927 წლის სტატისტიკით საქართველოში 13 გერმანული კოლონია არსებობდა – ლუქსემბურგი, როზენბერგი, ლიბკნეხტდორფი, ანენფელდი, გრიუნტალი და ა. შ.

თბილისში კი ამ დროს 4200 გერმანელი ცხოვრობდა.

მათი აქ ცხოვრების კვალი დღემდე არ წაშლილა, მათი სახლები დღემდე დგას თბილისსა თუ სართიჭალაში, ბოლნისსა თუ ასურეთში, მათი სასაფლაოები დღემდეა შემონახული.

საუკუნეზე მეტი ხანი ქართული მიწა კვებავდა გერმანელთა რამდენიმე თაობას და არავის ისინი არ უდევნია, არავის არ შეუვიწროებია, არავის დაუმცირებია – შრომობდნენ, იღვწოდნენ, თავიანთ კულტურას, ზნეს და ხასიათს ინარჩუნებდნენ.

ქართველებს არასოდეს დაუყვედრებიათ მათთვის, რომ ქართულ მიწაზე ცხოვრობდნენ და აქ თავიანთ მიკროგერმანიას აშენებდნენ, თქვენ კი, ფრაუ მერკელ, გაჭირვების და დუხჭირი ყოფის გამო გერმაიაში სამუშაოს მაძებარ ქართველებს დასტა-დასტა ყრით გერმანიიდან.

აი, ეს მაინც ეთქვა ვინმეს ქალბატონი მერკელისთვის, ჩაეყვანა ბოლნისში თუ ასურეთში და იქ, საქართველოს მიკროგერმანიის ფონზე ეთქვა, რომ საქართველო მეტ სიყვარულს, მეტ თანადგომას და მხარდაჭერას იმსახურებს ევროპისგან, კერძოდ, გერმანიისგან.

თუ შორს წასვლა გეზარებოდათ, აგერ, აქვე, ორთაჭალაში, შევარდნაძის საფლავზე მაინც მიგეყვანათ და იმ კაცის სახელი კიდევ ერთხელ შეგეხსენებინათ, რომელმაც უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა ორად გაყოფილი გერმანიის გაერთიანებაში.

ფრაუ მერკელი აღმოსავლეთ გერმანიიდანაა და ვინ ვინ და, მან ხომ შესანიშნავად იცის, რა უზარმაზარი ძალისხმევის შედეგად მოხერხდა გერმანიის გაერთიანება და რა წვლილი აქვს ამაში შეტანილი შევარდნაძეს.

ერთ უბრალო თაიგულს მაინც ხომ იმსახურებდა ეს ადამიანი ქალბატონი მერკელისგან?

ორთაჭალაში მისვლას ვერ მოაბით თავი და გორში როგორ ჩახვიდოდით, თორემ ფრაუ მერკელისთვის სტალინის სახლ-მუზეუმიც რომ გეჩვენებინათ და იქვე ისიც გეთქვათ, რომ აქ დაიბადა ის ქართველი კაცი, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა გერმანული სახელმწიფოს და გერმანელი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგა და როცა ვიღაცები გერმანიის, როგორც სახელმწიფოს,

2 გვ. →

ერთ-ერთი პირველი გერმანელები საქართველოში

ფრაუ მერკელი და საქართველოს მარტოობის ოცი საუკუნე

1 გვ.

ლიკვიდაციის იდეით გამოდიოდნენ, სწორედ სტალინი იყო ის პიროვნება, რომელმაც განაცხადა: ჩვენ ვებრძვით არა დიდი კულტურის და დიდი ისტორიის მქონე გერმანელ ერს, ჩვენ ვებრძვით არა გერმანიას, არამედ ფაშიზმს.

რომ არა სტალინის მტკიცე პოზიცია, არ არის გამორიცხული, გერმანიას, როგორც ერთიან სახელმწიფოს, საერთოდ არ ეარსება. ასე რომ, გერმანია, გარკვეულწილად, ვალშია საქართველოს წინაშე, თუმცა ეს ვიღაცამ ხომ უნდა თქვას, ვიღაცამ ხომ უნდა მიანიშნოს?

ცალკე ისტორიაა თუ როგორ ექცეოდნენ ქართველები გერმანელ ტყვეებს – თვითონ გაჭირვებაში და სიდუხჭირეში მყოფნი უკანასკნელ ლუკმას უყოფდნენ, ტანსაცმელს ჩუქნიდნენ, თანაგრძნობას გამოხატავდნენ მათ მიმართ რითაც შეეძლოთ და როგორც შეეძლოთ.

ასეთია საქართველო და ასეთები არიან ქართველები, ძვირფასო ქალბატონო მერკელ!

ნატოში შესვლის იმედი ხომ გადაგვიწურა ფრაუ მერკელმა და იქვე ისიც დაამატა, რომ არც ევროკავშირში გაწევრიანება გვეღირსება ახლო ხანებში – ევროკავშირში რომ შევიდეთ, თურმე ჯერ კიდევ ბევრი საშინაო დავალება გვქონია შესასრულებელი.

რით ვერ დაილია ეს საშინაო დავალებები?

კიდევ რა დავალება გვაქვს შესასრულებელი – გავწყდით წელში, გავსავათდით, მოსახლეობის ნახევარი ქვეყნიდან გაგვექცა, ქალი ქალს არ ჰგავს და კაცი კაცს – კიდევ რა დავალება უნდა შევასრულოთ, მთლად ხომ არ ამოვწყდებით, მთლად ხომ არ ავიყრებით ჩვენი მიწა-წყლიდან?

საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების სურვილის გაცხადებიდან კი არ დაუწყია ამ „საშინაო დავალებების“ შესრულებაზე ფიქრი, თითქმის ოცი საუკუნეა, ის რწმენით და მენტალიტეტით დაპირისპირებულ მტრულ გარემოცვაში მარტო იბრძვის იმ ღირებულებების და ფასეულობების გადასარჩენად, რომელსაც ევროპული ფასეულობები და ღირებულებები ჰქვია.

დიახ, ჩვენ ევროპელები ვართ, თუმცა ჩვენი ადგილი ევროპაში მაინც ვერ მოიძებნა დღემდე და ისევ რაღაც საშინაო დავალებების შესრულებაზე გვესაუბრებიან.

მარტოობის ოცი საუკუნე განვლო საქართველომ, სანამ აქამდე მოვიდოდა და, მიუხედავად ამისა, მაინც ევროკავშირის თუ ნატოს კარებთან გვიწევს ყურყუტი, თანაც გვეუბნებიან, რომ კარები ღიაა, ოღონდ შიგ შესვლის უფლება არ გვაქვს.

პატარა ქვეყანაა საქართველო, მაგრამ ამის გამო თვალში ნუ გეპატარავებით – საქართველოს თავისი სერიოზული წვლილი აქვს შეტანილი მსოფლიოს პოლიტიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაში.

* * *

წავიდა ქალბატონი მერკელი და დაგვიტოვა დიდი სევდა და იმედგაცრუება.

ამ ვიზიტით კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ჩვენი მხსნელი და მშველელი არავინ არ არის, თუ ჩვენ თვითონ არ მივხედეთ საკუთარ პრობლემებს.

„ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს,“ – ეს სტრიქონი ამეკვიატა, ამ წერილს რომ ვწერდი.

როგორც ჩანს, დადგა დრო, საქართველო სხვა პოლიტიკურ სინტაქსზე, სხვა რიტორიკაზე გადაერთოს, თორემ ჩვენი საქმე ისეა, როგორც ერთ ძველ ანეკდოტში:

სერგია წყალს მიაქვს და მთელი ხმით ყვირის: – სერგია ვარ! სერგია ვარ!

– გიცანი, სერგია, გიცანი! – ჩამოსძახა ქუთაისელმა ხიდიდან.

კარგია, რომ ფრაუ მერკელმაც „გვიცნო“ და ოკუპირებული ხართ თქვენო, გვითხრა, მაგრამ ამით რა, ჩვენს გასაჭირს რაიმე ეშველება?

ერეკლე საღლიანი

* * *

გადმოცემის მიხედვით, აფხაზეთის მთავარ შერვაშიძესთან სტუმრობდა სვანეთის მთავარი დადეშქელიანი. ჟამიანობის დროს, სვანეთის მთავარს ხუთივე შვილი დაეღუპა. სტუმარი დიდხანს ეფერა აკვანში მწოლ მასპინძლის პატარა ვაჟს და ამოიოხრა: რა იქნებოდა ერთი შვილი მაინც შემრჩენოდაო.

შერვაშიძე მგლოვიარე სტუმრის ამ სიტყვებმა იმდენად შეძრა, რომ აკვანში მწოლი შვილი, დადეშქელიანს აკვნიანად გაატანა სვანეთში.

შეგხარი, ვლაღობ და ძალას მმატებ,
ვდგავარ და სტუმრის იღბალზე ვფიქრობ,
ასე მგონია, ილორის ხატებს,
მდუღარე ცრემლი გადმოსდით თითქოს.
თავს ძალას ვატან, არ ძალმიძს მეტი,
დარდი ძვალს და ხორცს ერთიან მიჭამს,
რა არის მაინც იმ კაცის ბედი,
ხუთ შვილს ერთად რომ მიაყრის მიწას.
მიმძიმს და მანგრევს შვილო, რომ დაგთმე,
დაცარიელდა მთლად ჩვენი ტაბლა,
ცა იხსნის ღრუბლის ქათქათა ბაბთებს
და თავის ფეხით ჩამოდის დაბლა.
შენა ხარ ჩემი ჯიში და მოდგმა,
დასტურ სიცოცხლეს, სიკვდილს უარი,
ჩემს ქედზე იყოს ეს მძიმე ცოდვა,
ოღონდ ნამდვილად ცოდვა თუ არი...
მწყურია მადლი და უკვე მჯერა,
სიბნელე რომ გზას დაუთმობს სისხამს,
ჩემი ძმადფიცის ფუძე და კერა
ფუძე და კერა მე უნდა ვიხსნა!
ვაცლი ჩემს ღობეს უმთავრეს ლატანს,
არ ვიცი, ხვალ ზეგ თუ რაღა მელის,
მე ჩემს შვილს სტუმარს იმიტომ ვატან
ძმამ ძმაზე რომ არ აღმართოს ხელი.
გაბაწრული ვარ და ჩემს თავს ვერ ვშლი
ვითმენ და ვუძლებ, აღარა მიშავს,
სადღაც სვანეთის მიუვალ მთებში,
დე, იხმაუროს აფხაზის ჯიშმა!
ეს ფიქრი შვილო, მე ძალას მმატებს,
ვდგავარ და სტუმრის იღბალზე ვფიქრობ,
ასე მგონია, ილორის ხატებს,
მდუღარე ცრემლი გადმოსდით თითქოს.

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავლის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნული სარეკლამო მასალები.

ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც ნარკომანების ინტერესების დასაცავად შეიძლება 20 000 ადამიანი გამოვიდეს, მაგრამ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მოთხოვნით 200 კაცის გამოყვანა ჭირს...

გვესაუბრება პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე:

— ბატონო სოსო, ათწლიანი პაუზის შემდეგ ანგელა მერკელი საქართველოს კვლავ ეწვია. რა იყო ამ ვიზიტიდან მნიშვნელოვანი?

— ჩემთვის ერთი მომენტია საინტერესო — მერკელი პირველი ევროპელი ლიდერი აღმოჩნდა, რომელმაც ნატოსთან ჩვენი ურთიერთობის შესახებ მწარე სიმართლე გვითხრა. კერძოდ, მან, პირველმა თქვა, რომ სანამ აფხაზეთთან და ოსეთთან ტერიტორიულ პრობლემებს არ მოვაგვარებთ, იგი ნატოში საქართველოს ადგილს ვერ ხედავს. აქამდე, განსაკუთრებით კი, ბრიუსელიდან გვეუბნებოდნენ: აფხაზეთის და ოსეთის პრობლემა ნატოში გაწევრიანებისთვის ხელშემშლელი ვერ იქნებაო. მერკელმა საპირისპირო აღნიშნა: სანამ ტერიტორიული პრობლემები გაქვთ, თქვენი ადგილი ნატოში გერმანიას ვერ წარმოუდგენიაო. „საერთო გაზეთთან“ საუბარში ბევრჯერ მითქვამს: 1949 წლის აპრილის დოკუმენტში, ვგულისხმობ, ნატოს წესდებას, რომელიც ამერიკის კონგრესმა მიიღო, გარკვევით წერია: სახელმწიფო რომელსაც რომელიმე მეზობელთან სადაო ტერიტორიული საკითხი აქვს, ალიანსის წევრი ვერ გახდება მანამ, სანამ პრობლემას არ გადაჭრის. ჩვენები ამ რეალობაზე ჯიუტად ხუჭავენ თვალს. გავიხსენოთ, რუმინეთის, უნგრეთის და სხვა შემთხვევები. რამდენიმე ქვეყანას ერთმანეთთან პრობლემები ჰქონდა და ამის გამო სამ-ოთხ სოფელზე უარი ათქმევინეს, სხვაგვარად, ნატოში არ ღებულობდნენ. ჩვენს პოლიტიკოსებს სირაქლემას პოზიცია უკავიათ, თუმცა რეალობა მშვენივრად იციან. ის, რომ ევროპული პოლიტიკის გრანდი საქართველოში ჩამოდის, ტერიტორიული მთლიანობის შესახებ გვიჭერს მხარს და ღიად მიდის საზღვართან, ეს დიპლომატიური სიმბოლიკაა. მერკელის საზღვართან გამოჩენა, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ხვალ აღარავის გაიტაცებენ საზღვრიდან, ბორდელიზაცია აღარ იქნება, ან თუნდაც, ტატუნაშვილების, ოთხოზორიების საფრთხე საქართველოს აღარ ელის. ასე არაა, პრობლემები კვლავ გაგრძელდება, მაგრამ ეს სერიოზული სიმბოლიკაა, რადგან მერკელი არ არის რომელიმე ჯუჯა სახელმწიფოს ლიდერი, იგი, ევროპის ეკონომიკისა და ფინანსური სამყაროს ლოკომოტივის სახელმწიფოს ლიდერია. ამიტომ, ამ თემას ნურც გავაზვიადებთ და ნურც დავაკნინებთ. ნურც მერკელს მოვთხოვთ გერმანიის ინტერესები დაივიწყოს, კერძოდ, ის, რომ მას რუსული გაზი სჭირდება და სულ დასჭირდება, სანამ გერმანია იარსებებს. როგორც თავად აღნიშნა: გერმანიის ეკონომიკა ისე ვითარდება, არც კი ეყოფა რუსული გაზი. გერმანია რუსეთის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გამო არ გადაიკიდებს, თანაც ეს უშედეგო იქნება — იმიტომ, რომ გერმანია რუსეთს ომს ვერასოდეს გამოუცხადებს, რადგან ნატოს წევრია. ამ მხრივ, ეს ძალზედ მნიშვნელოვანი დიპლომატიური აქციაა. ამ კუთხით, ეკონომიკურ, ფინანსურ დახმარებებს, კი ბატონო, ვეღლოდები, მაგრამ დიპლომატიურ გარღვევას, თითქოს, რუსეთი ამ პოლიტიკას შეამცირებს, უფრო დამყოლი გახდება, არა.

— საქართველოში ვიზიტამდე მერკელი პუტინს შეხვდა...

— ის რაც მერკელმა ორი დღის მანძილზე საქართველოში თქვა, პუტინმა წინასწარ იცოდა. მერკელი ახლო მომავალში ვერ ხედავს (ეს ახლო მომავალი პოლიტიკოსისთვის შეიძლება იყოს 10 წელიც და 50-იც) საქართველოს ადგილს ნატოში. მაგრამ ეს არ უნდა გახდეს აპათიაში ჩავარდნის საბაბი. კი ბატონო, გაწევრიანება არ ხდება, მაგრამ მაშინ, ჩვენ, მეტი მორალური უფლება გვაქვს დასავლეთს, ნატოს, იგივე რუსეთს სხვა სახის დახმარებები — სამხედრო სიძლიერე, ინფრასტრუქტურა, შეიარაღება, ჩვენი ჯარების გაწვრთნა მოვთხოვოთ. ალიანსში გაწევრიანებით ხომ არ იწყება და მთავრდება ცხოვრება. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ არც ისრაელია ნატოს წევრი, არც იაპონია და არც სამხრეთ-კორეა, მაგრამ მათ ამერიკასთან, ისრაელის გარდა, სამხედრო ხელშეკრულებები აკავშირებთ.

ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა არც ტრამპის და არც მერკელის განცხადება, მაგრამ პესიმისტი არ ვარ. ვამბობ, რომ გვაქვს სხვა შანსი, რაც ქართული დიპლომატიის წინაშე უფრო რთულ ამოცანებს აყენებს. ადვილია, უცებ, მიგვიღონ ნატოში და მორჩა, ვიცხოვროთ ბედნიერად, დაგვიცვას ბრიუსელმა და აბა, ვინმემ რამე გაგვიბედოს, ამერიკასთან ექნება საქმე. ასე შეგვიძლია უკვე საკუთარ თავდაცვაზე ვიფიქროთ, რასაც დღეს, გერმანია აკეთებს. ტრამპი ითხოვს, რომ გერმანიამ აუცილებლად უნდა გადაიხადოს ბიუჯეტის 2%. ეს უკანასკნელი კი ამბობს, რომ შეიძლება უახლოეს დღეებში 1%-მდე ავიდეთო. ეს ჩვენთვის ძალიან ცუდია იმიტომ, რომ ნატოს საფრთხის წინაშე აყენებს და პრობლემებს შეუქმნის. ტრამპი, თითქოს, საბაბს ეძებს ნატო კიდევ უფრო ჯიჯგნოს. ამავე დროს, ვერ ვიტყვი ტრამპი ჩვენი მოკავშირეა-მეთქი იმიტომ, რომ არანაირი ხელშეკრულება გაფორმებული არ გვაქვს, მაგრამ იგი ჩვენი მხარდამჭერია. როგორც ამ სფეროს წარმომადგენელი ტერმინებს ფრთხილად ვეკიდები. არასდროს მითქვამს, რომ ამერიკა და ევროპელები ჩვენი მოკავშირეები არიან. კავშირი ნიშნავს სამოკავშირო ხელშეკრულებას, რაც ჩვენ შემთხვევაში, არ არსებობს. ისინი მხარდამჭერები არიან. იგივე, ქართულ-ამერიკული ქარტია, ეს არ არის სამხედრო ხელშეკრულება, იგი ამერიკას არაფერს ავალდებულებს იმ შემთხვევაში, თუ საქართველო აგრესიის მსხვერპლი გახდა. ხომ ხედავთ, რა დროში ვცხოვრობთ. ბუქარესტის პროტოკოლით 1991 წელს მამა ბუშმა აიძულა მაშინდელი უკრაინის ხელმძღვანელობა — კრავჩუკი საერთოდ უარი ეთქვა ბირთვულ შეიარაღებაზე და სამაგიეროდ, ოთხმა წამყვანმა სახელმწიფომ გარანტია მისცა ტერიტორიულ მთლიანობაზე. დღეს, რუსეთმა ყირიმი ჩამოართვა, მაგრამ რა, მათ ომი გამოუცხადეს რუსეთს?! მაგრამ აბა წარმოვიდგინოთ, დღეს უკრაინას რომ ჰქონდეს თუნდაც ერთი ძალიან პატარა ბირთვული რაკეტა, რომელიც ჰქონდა და რუსეთს გადასცა. მაშინ პუტინი გაბედავდა ამ ყველაფერს? — საეჭვოა, ამაზე ორჯერ მაინც დაფიქრდებოდა, რადგან უკრაინა ბირთვული სახელმწიფო იქნებოდა. რატომ არის რომ დღეს ყველა ელაქუცება და ცდილობს კიმ ჩენ ინთან საერთო ენა გამონახოს. იმიტომ, რომ მას ჯიბეში ბირთვული რაკეტები უდევს. ბირთვული სახელმწიფოა იგივე, ისრაელიც, ამიტომ არის ასეთ დიდ გულზე, ოდნავ დათმობაზეც არ მიდის პალესტინელებთან. თუმცა, მთელი მსოფლიო მოუწოდებს ნიქსონით დაწყებული ობამათი დამთავრებული ამ საკითხის მოგვარებისკენ. ახლა, ტრამპმა შეცვალა კურსი. აი, ეს არის რეალობა. დღეს ჩვენ რაც შეგვიძლია, ის უნდა გამოვიყენოთ, ანუ დიპლომატია, რომელიც შესაძლებლობის ხელოვნებაა და არა კეთილი სურვილები და ფანტაზიები.

— მერკელმა პირდაპირ გვითხრა, რომ ტერიტორიული დავები სანამ არ გადაწყდება ნატოში ჩვენი ადგილი არ არის, მაგრამ რა შანსებია ამ დავის გადაწყვეტის. ეს საკითხი ხომ რუსეთის ხელშია?

— დიახ, დავების გადაწყვეტის საკითხი რუსეთის ხელშია. ამიტომ, ირიბად და არა პირდაპირ, მერკელმა თქვა ის, რასაც ასე დაბეჯითებით უარყოფს ნატოს ყველა გენერალური მდივანი — მესამე სახელმწიფოს არ ეკითხება ნატოში რომელიმე ქვეყნის გაწევრიანება-არგაწევრიანება. მერკელმა კი ირიბად გვითხრა: თქვენი ნატოში გაწევრიანება რუსეთზეა დამოკიდებული. ჩვენ, ვიცით, რომ რუსეთის გარეშე ეს პრობლემები არ გადაწყდება. ბევრს არ მოსწონს, მაგრამ მოდით სიმართლეს შევხედოთ: რა ქვეყანაში ვცხოვრობთ? — ჩვენ ვცხოვრობთ 20% ტერიტორიადაკარგულ ქვეყანაში, სადაც ნარკომანებს შეუძლიათ თავიანთი ინტერესების დასაცავად 20 ათასი კაცი მიტინგზე გამოიყვანონ. მაშინ, როცა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მოთხოვნით 200 კაცსაც ვერ გამოიყვან. ხომ ასეა?! აი, ასეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ. ამიტომ, რისი ან ვისი იმედი უნდა გვქონდეს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიმართულებით — შერიგების სამინისტროსი, ამ რუდიმენტის? ვიმეორებ, ნარკოტიკების თემაზე, მიტინგზე 20 ათასი კაცი გამოდის. 200 კაცს ვერ გამოიყვან მიტინგზე ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მოთხოვნით. ლტოლვილებიც არ გამოვლენ, ხომ ასეა?! რატომ? იმიტომ, რომ ჩვენში ეს მუხტი არ არის. იაპონიაში, ყოველ წელს, ჩრდილოეთის ტერიტორიების დღეს მიტინგზე მილიონობით ადამიანი გამოდის. ასე ხდება 1945 წლიდან მოყოლებული. ჩვენთან უკვე 10 წელი გავიდა. ამასწინათ წავიკითხე: ერთ-ერთი უკრაინელი ჟურნალისტი ვინმე დროზდოვი თბილისში ყოფნისას თავის შთაბეჭდილებებზე წერს: მორჩა, ქართველებმა დაივიწყეს სამაჩაბლო, რუსეთმა ჩამოაჭრა და მათაც დაივიწყესო. აი, ასეა. ამიტომ, მერკელმა რეალობა თქვა, რას ვერჩით. იგი ხომ ვერ დაივიწყებს გერმანიის ინტერესებს, მას რუსეთის გაზი სჭირდება. გერმანია რომც იყოს ჩვენი ნატოში გაწევრიანების მომხრე, იტალია არ იქნება, მით უმეტეს, უნგრეთი და ა.შ. ამიტომ, ქართულ დიპლომატიას ცოტა უფრო ფართო ჰორიზონტი სჭირდება, მეტი მუშაობა, მეტი კავშირების ძებნა იგივე ნატოს სტრუქტურასთან, ამერიკასთან, ევროპელებთან.

თამარ შველიძე
555 23 28 24

გელა ზედელაშვილი

ღალატის ანატომია

ვინ, როგორ და რატომ უღალატა ბიძინა ივანიშვილს?!

(გაგრძელება. დასაწყისი „ს.გ“ N28)

წინა წერილში თხრობა იქ შევწყვიტე, ირაკლი ალასანია ზუგდიდში რომ „გამოცხადდა“ „ნაციონალების“ დასამარცხებლად და ჩაფლავდა. მან დასაწყისში დახმარებისთვის „დაიცავი საქართველო“-ს ერთ-ერთ ლიდერს, კახა მიქაიას მიმართა. რაში სჭირდებოდა კახას დახმარება ივანიშვილის კარზე აღზევებულ ალასანიას? ავიენები ამბობენ, ახალაიების წინააღმდეგ გაკეთებული განცხადებების შემდეგ მას ემუქრებოდნენ და ცოტა არ იყოს, შეშინდა. ვინაიდან, ახალაიები მართლაც აპირებდნენ იარაღზე ხელის გაკვრას, ამიტომაც ჩავიდა ამერიკის ელჩი ზუგდიდში. ამ ვიზიტის შედეგი ის იყო, რომ ავაზაკებმა არეულობის მოწყობა ვეღარ გაბედეს, მაგრამ ალასანიას მაინც არაფერი ეშველა – ბრძოლა პირწმინდად წააგო.

რასაკვირველია, ბიძინა ივანიშვილი ამაზე გაღიზიანდა და შეურაცხყოფილადაც კი იგრძნო თავი. როგორ, ამდენი ფული და ენერგია დაიხარჯა, ერთ რაიონში მაინც არ უნდა მოეგო? დაუძახა ივანიშვილმა და მოსთხოვა პასუხი – დაჯექი, კარგად დაფიქრდი, გაანალიზე, რა მოხდა, ყველაფერი დაწერე და ანგარიში ჩამაბარეო. დაჯდა ირაკლი, დაწერა, ყველაფერი გარეშე გარემოებას გადააბრალა, ფინანსური ხარჯთაღრიცხვაც შეადგინა და ივანიშვილს წარუდგინა. ბატონი ბიძინა ის კაცი არ გახლავთ, ვინმემ ასე იოლად მოატყუოს, მაგრამ იმ ეტაპზე ხელი ჩაიქნია, გაუტარა. ფაქტობრივად ალასანია არაფერს კარგავდა, ის თავის „სასტავიანად“ „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაშიც იყო ჩაწერილი მაინც მოხვდა პარლამენტში, სადაც აღარ შევიდა იმის გამო, რომ თავდაცვის მინისტრად გაამწესეს. დაეცა ტუზი ბიჭს – თვითონ მინისტრი გახდა, ცოლის და, მაია ფანჯიკიძე – საგარეო უწყების ხელმძღვანელი, ხოლო პარტიის წევრები (ნინო გოგუაძე, ვიქტორ დოლიძე, ზურა აბაშიძე, ალექსი პეტრიაშვილი, შალვა შავგულიძე) პარლამენტში მოაწყო. თითქოს ყველაფერი უნდა დალაგებულიყო, მაგრამ ასე არ მოხდა, როგორც კი ირაკლი ალასანია გახდა თავდაცვის მინისტრი, ის პრემიერ ბიძინა ივანიშვილისთვის ახალ თავის ტკივილად იქცა – ჯერ დაუკითხავად ლონდონში გაფრინდა გიგი უგულავას ცოლთან და მის დაქალთან ერთად, შემდეგ კი დუბაიში მოადინა ზღართანი, როგორც მაშინ თქვეს, ქვეყნიდან გაქსუებულ „ნაციონალებთან“ შესახვედრად. ვინაიდან, ბიძინა ივანიშვილი პირდაპირი კაცია, მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე არ მოერიდა და ალასანიას ჰკითხა: ირაკლი, რომ დადიხარ, სად დადიხარ, მე არ უნდა ვიცოდეო?! თავდაცვის მინისტრი დაიბნა, ასეთ პირდაპირობას არ ელოდა, მიედო, მოედო, დაიწყო რაღაცების ახსნა, მაგრამ ივანიშვილმა აღარ გაუტარა. შიდა კულუარული გარჩევიდან სადღაც ერთ კვირაში პრემიერ-მინისტრმა პრესკონფერენცია გამართა, სადაც პირდაპირ ვკითხე, მართლა გქონდათ ალასანიასთან ამ თემაზე დაძაბული საუბარიმეთქი? სიმართლე გითხრათ, არ ველოდი, ბატონმა ბიძინამ ეგრევე გახსნა ყველა კარტი – კი, ამ თემაზე მქონდა საუბარი, ირაკლი არ არის ცუდი ადამიანი, მაგრამ ახალგაზრდაა და ზოგჯერ რაღაცები ეშლებაო. ის კი არა, ჩემთან გუნდის წევრები მოვიდნენ, „ნაციონალებმა“ ვიდეოები გადაგვიღეს, ცოლებს რომ ვღალატობთ, იქნებ გვიშუამდგომლოთო. წარმოგიდგენიათ? 2012 წლის ზაფხულში კოალიციის წევრებს ფარული ვიდეოები გადაუღეს, სხვადასხვა სასტუმროებში რომ ბოზობდნენ, ეს საქმე გაუსკდათ, ამათ კასეტები იღლიაში ამოიჩარეს და ივანიშვილს მიადგნენ, ცოლებთან გვიშუამდგომლეთო. ბატონმა ბიძინამ თავი შორს დაიჭირა, ეგ თქვენი პირადული საქმეა, მე ვერ ჩავერევიო. არაფერს ვიგონებ, ამის შესახებ პრესკონფერენციაზე თვითონ იმჟამინდელმა პრემიერმა ისაუბრა (შეიძლება ბევრს გახსოვთ კიდეც) და დიდი სკანდალიც მოჰყვა. თუმცა მან მაშინვე ხაზგასმით აღნიშნა, ამ შემთხვევაში ირაკლის არ ვგულისხმობო. აბა, ხომ არ იტყოდა, კონკრეტულად მაგ ადამიანზე ვლაპარაკობო? მაშინ ჭორიც გაავრცელეს, თითქოს შეკითხვაც და პასუხიც წინასწარ იყო შეთანხმებული, თითქოს წინა საღამოს მე და ბატონი ბიძინა სოლოლაკის სასახლეში ვისხედით, სტაფილოს წვენს ვწრუპავდით და თან ხელებს ვიფშვნეტდით – შენ ეს მკითხე, მე ამას გიპასუხებო. პრინციპში, ასეც რომ ყოფილიყო, ეს მაინც არაფერს ცვლის, ფაქტი ფაქტად რჩება, ირაკლი ალასანიამ მაგრად აუშვა. ამას დავანებოთ თავი, კონკრეტულ ფაქტებზე ვილაპარაკოთ: პირველი – ე, ბიჭო, პოლიტიკოსები ხართ, თავები მოგაქვთ კიტრებივით, ჯანდაბას, „ნაცებმა“ გადაგიღეს, შეცდომა ვის არ მოსვლია, მაგრამ პარტიის ლიდერთან როგორ მიდიხართ, როგორ დღებით მუხლებზე და ეხვეწებით, ცოლებთან საქმე ჩაგვიწყეო? საინტერესოა, როგორ უნდა ჩაეწყო, ცოლებს დაიბარებდა და ეტყოდა – გოგოებო, ახლა არ გინდათ წიკვინი, თქვენი ქმრები სამშობლოს ემსახურებიან, პაწა წაიიმასქნეს, ამიერიდან აღარ იზამენო? აი, ეს ერთი დეტალიც კი ნათლად აჩვენებს, თუ რა „ბაგაჟისა“ და ტვინის პატრონებთან გვქონდა და დღესაც გვაქვს საქმე; მეორე – კაი, ბატონებო, ყველას რომ 2012 წლის ზაფხულში აუდგა, ეს გასაგებია, მაგრამ რატომღაც ყურადღებას არავინ აქცევს ერთ ფაქტს: როგორ გგონიათ, „მეგისფიქჩერსმა“ მხოლოდ ამათი ბოზობა გადაიღო? ან თუ გადაიღო, მერე ასლები არ გააკეთა და ესენი, ეს უტრაკო ყარაჩოხლები არ დააშანტაჟა? როგორ ფიქრობთ, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კოალიციის ზოგიერთი ე.წ. ლიდერი რომ გამოვარდა და დაიწყო, „ნაციონალური მოძრაობის“ შენარჩუნება ჩვენი ღირსების საქმეაო, უბრალოდ ენები ექავებოდათ, ისე ლაქლაქებდნენ? ან ეს ავადსახსენებელი კოჰაბიტაცია საიდან გაჩნდა, რანაირად მოიფიქრეს? ზოგი ამბობს, ეს იდეა აშშ-ის საელჩოდან მოდისო, ზოგი იძახის – უცხოპლანეტელებმა ჩაგვაწოდესო... რა მნიშვნელობა აქვს, საიდან მოდის და ვინ ჩაგვაწოდა? ცხადია, კოჰაბიტაციამ „ნაციონალური მოძრაობა“ გადაარჩინა, ფერფლიდან აღადგინა და ე.წ. მეორე ოპოზიციურ ძალად აქცია. ვის სჯერა მაგათი ოპოზიციონერობისა, ეს სხვა საკითხია, ქალბატონი თინიკო ხიდაშელი ხომ გამობრძანდა დიდი, მრგვალი საყურეებით (ბორკილებს რომ მიუგავს) და წამოაწყვინა, კოჰაბიტაცია ქართველმა ხალხმა დაგვიკვეთაო?! ჰო, ჯერ მისმა ქმარმა გააგორა არნახული სიბრძნე, „ნაცებს“ ღირსება უნდა შევუნარჩუნოთო, მერე კი კნეინამ დაუკრა კვერი – მაშ, მაშ, ხალხმა ეგრე დაგვიკვეთაო. იმ პერიოდში ბევრმა აიშვა, ბევრმა დაიწყო „ნაცებთან“ კუდის გადაბმა და ეს არ გახლდათ მოხალისეობის სურვილზე დაფუძნებული აქტი, ეს ძირითადად მაინც იყო შანტაჟის ნაყოფი, რომელმაც სწრაფად იბარტყა და მივიღეთ ის, რაც დღეს ასე ძალიან გვანერვიულებს.

საერთოდ, როდესაც დიდ ღალატზე ვსაუბრობთ, საუკეთესო მაგალითად შეიძლება თამამად დავასახელოთ მიხეილ სააკაშვილის „მოღვაწეობა“. ივანიშვილს დღემდე ამუნათებენ – ვინაიდან, შენ თავის დროზე „ნაციონალებს“ აფინანსებდი, ამიტომ დამნაშავე ხარო. ჯერ კიდევ 2012 წლის ზაფხულში ბატონმა ბიძინამ ჩემთან პირად საუბარში ამ „ბრალდებას“ ასე უპასუხა: „კი, ბატონო, მე ვაფინანსებდი არა „ნაციონალებს“, არამედ სახელმწიფოს, რომელსაც ძალიან უჭირდა, მაგრამ როცა დავინახე, სააკაშვილის ბანდა როგორ გადავიდა ყოველგვარ ზნეობრივ ზღვარს, მათთან ურთიერთობა შევწყვიტე“. როგორც ხედავთ, გასაგები განმარტებაა, ბიძინა ივანიშვილს ძალიანაც რომ სდომებოდა, მილიონებს სხვას ვერ გადაურიცხავდა, გვინდოდა თუ არა, ხელისუფლებაში „ნაციონალები“ იყვნენ და ფულსაც ისინი ანაწილებდნენ. ჩვენ, საზოგადოე-

ბამ მაშინ არ ვიცოდით, რომ ჯარს, პოლიციას და სხვა სამთავრობო სტრუქტურებს ბიძინა ივანიშვილი კვებავდა და აცმევდა, გზებს აგებდა, ხიდებს აშენებდა, სკოლებს, თეატრებს და კულტურის კერებს არემონტებდა, ისტორიულ ძეგლებს რესტავრაციას უკეთებდა. ალბათ, გახსოვთ, როგორც კი საკაშვილი მოჯდა ხელისუფლებაში თავის ხელისბიჭებთან ერთად, მათ მაღალი ხელფასებიც კი დაუნიშნა, ემანდ ხელი არ წაგიცდეთ, ქურდობა და ყაჩაღობა არ დაიწყოთო. მაშინ მოგვატყუეს, ეს ჯორჯ სოროსის ფულიაო. სამწუხაროდ, დღეს ეს ფაქტი ბევრმა განგებ დაივიწყა, რათა ხალხს თვალებში ნაცარი შეაყარონ და ივანიშვილი ბიუჯეტის ქურდობაში დაადანაშაულონ. დიახ, ბატონებო და ქალბატონებო, სახელმწიფოს ლამის ერთი კაცი კვებავდა, სააკაშვილის მოძალადე ხელისუფლება კი მხოლოდ წითელი ლენტების გაჭრით იყო დაკავებული. თავად სააკაშვილი ყველგან დარბოდა ქოშინით დუჟმორეული და მოსახლეობას აბოლებდა, რომ ქართულ სახელმწიფოს აშენებდა. როგორც ჩანს, ბიძინა ივანიშვილმა პირველი შეცდომა იქ დაუშვა, შეიძლება სიკეთის კეთება ფარულად გინდა, შეიძლება დაფა-ზურნა და ტაში არ გსიამოვნებს, მაგრამ როცა შენს ნაოფლარს მუდმივად სხვა ითვისებს, სხვა იწერს და თავისად აცხადებს, ეს უკვე უნამუსობაა!

სიტყვა „უნამუსობა“ ვახსენე და ბარემ აქვე მოგახსენებთ, რა სიბინძურე ჩაიდინა ფულით ვერგამძღარმა მიხეილ სააკაშვილმა ივანიშვილის წინაშე. ნათქვამია, ზოგი ჭირი მარგებელიაო, რომ არა ეს ამბავი, შესაძლოა, ივანიშვილს საერთოდ არ ეფიქრა პოლიტიკაზე და დღეს სათავეში ისევ მიშმაკთა ბანდა გვყოლოდა. ივანიშვილსა და სააკაშვილს შორის ურთიერთობა 2007 წლის ნოემბრის მოვლენების შემდეგ გაწყდა. ვინაიდან, ბატონ ბიძინას ლევანთან და გიასთან კარგი ურთიერთობაც ჰქონდა, მხოლოდ სააკაშვილის მიტანილ ინფორმაციას არ ეყრდნობოდა, მან ძირფესვიანად შეისწავლა სიტუაცია და დასკვნა, რომ „ნაციონალებმა“ კაი გვარიანად გადაამლაშეს, დაუკრეფავში გადავიდნენ. საპროტესტო აქციების დარბევის პერიოდში და შემდეგაც ის ხან სააკაშვილს უკავშირდებოდა, ხან ვანო მერაბიშვილს და კატეგორიულად სთხოვდა, თავი შეეკავებინათ ბარბაროსული გამოხტომებისგან. თუმცა, როგორც შემდგომში გაირკვა, მისი თხოვნა არც ერთმა არ გაითვალისწინა. მაშინ ბიძინა ივანიშვილმა კიდევ ერთხელ იგრძნო თავი შეურაცხყოფილად და ორივეს დაპირდა, რომ ამ უმსგავსობაზე პასუხს აგებინებდა. დანაპირები შესრულებულია – ერთი ჯაგლაგი ცხენივით დათოხარიკობს ჰოლანდიაში, მეორე კიდევ მატროსოვის ციხის საკანში ზის შემოლაწუნებული ყმაწვილივით.

აი, მთავარ სათქმელსაც მივადექით... 2007 წელს დაიწყო სააკაშვილის მმართველობის კრიზისი. ეს დრო მიხეილისთვის იყო კოშმარი – როგორც იქნა, ძლივს გადააგორა ნოემბრის აქციების შედეგები, სიტუაცია, ასე თუ ისე, ჩაიცხრო, მაგრამ მაინც მიხვდა, რომ დასავლეთელი პატრონების (რომლებსაც მილიონებს ურიცხავდა) თვალში მაინც სჭირდებოდა ერთგვარი ხელახალი ლეგიტიმაცია და გადაწყვიტა, ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები ჩაეტარებინა. მას ყველანაირი გარანტია უნდა ჰქონოდა, დარწმუნებული უნდა ყოფილიყო გამარჯვებაში, თორემ ისეთი კონკურენტები ჰყავდა (ლევან გაჩეჩილაძე, ბადრი პატარკაციშვილი, დავით გამყრელიძე, გია მაისაშვილი, შალვა ნათელაშვილი), შეიძლება სადავეები უცებ გაშვებოდა ხელიდან. ბადრი პატარკაციშვილი იმუქრებოდა, მთელ ჩემ ქონებას ჩავდებ ამ არჩევნებში, მილიარდებს გავიღებ და სააკაშვილს მაინც დავაკარგინებ ძალაუფლებასო. გარდა ამისა, მიხეილს ასევე ძალიან ეშინოდა ნინო ბურჯანაძისა, რომელიც პარლამენტის თავმჯდომარე გახლდათ და მისი გადადგომის შემდეგ ავტომატურად გახდა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი. ბურჯანაძის საკითხი „იოლად“ მოაგვარა, თითქმის მძევლად აიყვანა მისი შვილი – აწზორ ბიწაძე. ეს ამბავი კულუარულად ვიცოდი, მაგრამ როცა ყველაფერმა ჩაიარა, ქალბატონ ნინოს პირადად ვკითხე – იმ პერიოდში მართლა იყო დაინტერესებული თქვენი შვილის ბედით-მეთქი? მან გაიცინა და მიპასუხა: მთლად მძევლად აყვანას ვერ დავარქმევ, მაგრამ ხშირად აკითხავდა, კითხულობდა, ჩაისვამდა მანქანაში და ასეირნებდაო. აბა, კაცო, სააკაშვილს გაგანია არჩევნების წინ მეტი საქმე არ ჰქონდა, აწზორ ბიწაძის გუნება-განწყობით დაინტერესებულიყო და მანქანით სასეირნოდ ეტარებინა, ეს იყო პირდაპირი მუქარა, ანუ შანტაჟი, მინიშნება, რომ ბურჯანაძეს სხვანაირი აზრები არ მოსვლოდა თავში. მოგეხსენებათ, მაშინ ჯერ კიდევ არ იყო პრეზიდენტის უფლებები ასე მკაცრად შეზღუდული და ნინო ბურჯანაძეს რაღაც-რაღაცების „გაჩალიჩება“ მართლაც შეეძლო, ყოველ შემთხვევაში, ის მაინც, რომ ოფიციალურად არ ეღიარებინა არჩევნების შედეგები, ანუ სააკაშვილის გამარჯვებისთვის არ დაერტყა ბეჭედი. როგორც უკვე გითხარით, ეს ე.წ. შავი ხვრელი მიხეილმა აწზორ ბურჯანაძის მძევლად აყვანით ამოქოლა, მაგრამ ამავე დროს საჭირო იყო დიდი ფული. კი, ბატონო, ბიუჯეტი მისი ამფსონების ხელში გახლდათ და ფულის პრობლემა თითქოს არ იყო, მაგრამ გარანტია მაინც არ ჰქონდა, რომ ვინმე ან იგივე ბურჯანაძე არ აყვირდებოდა. მაშინ, როცა ბადრი პატარკაციშვილი კონკრეტულ თანხაზე ლაპარაკობდა, ამ ეტაპზე მილიარდნახევარს დავხარჯავო, სააკაშვილს, მინიმუმ, მილიარდი დოლარი მაინც სჭირდებოდა. ვის ჰქონდა ამდენი „მაყუთი“? რა თქმა უნდა, ბიძინა ივანიშვილს. ჰოდა, როგორც ჩემი კარგად ინფორმირებული და ყველაფრის მცოდნე ინფორმატორი მიყვება, მიადგა ესეც მილიარდერს, რომელიც სახელმწიფო საქმეებისთვის ფულს არასოდეს იშურვებდა. ბოლო-ბოლო, რამდენი გინდაო? – უკითხავს ბატონ ბიძინას. მილიარდი, თანაც დოლარშიო. უკაცრავად, შენ ალაოდ ხომ არა ხარო?! – მიუღია მიხეილს კითხვა-პასუხად.

ბიძინა ივანიშვილს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ის საერთოდ არ აპირებდა პოლიტიკაში მოსვლას და როცა ეს ინციდენტი მოხდა, თურმე მაშინაც კი არ უფიქრია შურისძიებაზე, მხოლოდ იმაზე წუხდა, წლობით ნაკოწიწები ქვეყანა ჭაობში იძირება, საქართველო თახსირების ხელში აღმოჩნდაო. ერთი ხანობა, ხელიც ჩაუქნევია, ჩამჯდარა თვითმფრინავში და საფრანგეთისკენ გეზის აღებაც დაუპირებია სამუდამოდ, მაგრამ შვილებმა „ჩამოხსნეს“. მე რომ არ ვცდები, ამას მისი პირველი წერილის ერთი ფრაგმენტიც ადასტურებს, რომელიც 2011 წლის 7 ოქტომბერს გამოქვეყნდა:

„ბევრი სვამს კითხვას და ბევრს უკვირს, მე, წარმატებულმა ბიზნესმენმა, ყოველმხრივ უზრუნველყოფილმა ადამიანმა, რატომ შევაგდე ყველაფერი სასწორზე და რატომ გადავწყვიტე პოლიტიკაში მოსვლა? ამ კითხვაზე პასუხი ძალიან მარტივია – იმიტომ, რომ ვხედავდი, სამშობლო მეკარგებოდა, ხოლო როდესაც სამშობლო გეკარგება, არაფერს არ აქვს ფასი, არც ქონებას, არც ფულს, არც პრივილეგირებულ მდგომარეობას. ეს სიტყვები ჩვენს კომფორმიზმით დაავადებულ საზოგადოებაში შეიძლება ვინმეს ხმამაღლა ნათქვამად მოეჩვენოს და სწორედ ამაშია ჩვენი ყოფის უბედურება. არ დავმალავ, სანამ პოლიტიკაში მოსვლას გადავწყვეტდი, ორჯერ დავაპირე საქართველოდან წასვლა.

ვისაც არ სჯერა, შეუძლია გადაამოწმოს და ნახოს, როგორ დავაბრუნე უკან შეკვეთილი თვითმფრინავები, ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ოჯახის წევრებმა, ჩემმა მეუღლემ და ჩემმა ვაჟებმა მითხრეს – შენ შეგიძლია წახვიდე, ეს შენი ნებაა, მაგრამ ჩვენ აქ ვრჩებითო. ჩემმა უფროსმა ვაჟმა, უტამ მითხრა, თუ შენ არ წახვალ პოლიტიკაში, მაშინ მე წავალო.

მე და ჩემმა მეუღლემ იმას მივაღწიეთ, რომ ჩვენი შვილები, რომლებიც საფრანგეთში გაიზარდნენ, ჩვენზე უფრო დიდი პატრიოტები და ჩვენზე უფრო კარგი ქართველები არიან. უტას სიტყვები ბოლო წვეთი იყო, რამაც ყველაფერი გადაწონა და ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა.

მე შევძელი მეჯობნა საკუთარი თავისთვის, დამეძლია ჩემს თავში შიში, ეჭვი, სკეპტიციზმი, ახლა კი ჯერი თქვენზეა... პოლიტიკაში იმიტომ მოვდივარ, რომ მივხვდი, მხოლოდ ქველმოქმედებით, ფინანსური დახმარებით და სპონსორობით, ცალკეულ სფეროებში ინვესტიციების ჩადებით და ლოკალური ღონისძიებებით, ქვეყანაში არსებულ საერთო ვითარებას და საერთო მდგომარეობას ვერ შეცვლი, თუ ყოველივე ამას ქვეყნის ხელისუფალთა პოლიტიკური ნება და მხარდაჭერა არ უმაგრებს ზურგს. მე მივხვდი ჩემს შეცდომებს და მივედი იმ დასკვნამდე, რომ საჭირო და აუცილებელია პირველყოვლისა შეიცვალოს პოლიტიკური გარემო ქვეყანაში, შეიცვალოს ზოგადად პოლიტიკოსის და პოლიტიკის არსის და დანიშნულების გაგება ჩვენს ცნობიერებაში. მე მოვდივარ პოლიტიკაში არა ვინმეს დასამარცხებლად, არა ვინმეზე შურის საძიებლად, არამედ საქართველოს თითოეული მოქალაქის გასამარჯვებლად“.

(გაგრძელება იქნება)

დარწმუნებული ვარ, საქართველო ახლო მომავალში ეკონომიკურად ძლიერი და წარმატებული ქვეყანა გახდება

გვესაუბრება ფინანსისტი, ბატონი ვასილ ჯიშკარიანი

— ბატონო ვასილ, რა იწვევს ლარის დევალვაციას, რომელიც მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, თავისთავად ცხადია, უარყოფითად აისახება და მერე მრავალი მითქმა-მოთქმის საგანი ხდება?

— თავიდანვე გეტყვით, პრემიერ-მინისტრმა, ბატონმა მამუკა ბახტაძემ სამართლიანად აღნიშნა იმ პროფესიონალიზმის შესახებ, რომელიც ეროვნულმა ბანკმა გამოიჩინა. იმ სიტუაციაში, როცა თურქული ლირა და რუსული რუბლი გაუფასურდა და პროცესი ავტომატურად შეეხო ლარს.

მოგეხსენებათ, ჩვენი ყველაზე დიდი სავაჭრო პარტნიორები არიან თურქეთი და რუსეთი და იქ გაჩენილი ეკონომიკური პრობლემები, ბუნებრივი იყო, რომ ლარზეც აისახებოდა.

ეროვნულმა ბანკმა ნამდვილად დიდი პროფესიონალიზმი გამოიჩინა და ზუსტად თავის დროზე დაარეგულირა ლარის კურსი.

არ შეიძლება იმის უარყოფაც, რომ ბანკები ასეთ ექსტრემალურ სიტუაციებს, ზოგ შემთხვევაში, თავიანთ სასარგებლოდ იყენებენ, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ბანკები ასე არ მოქცეულან.

— ამ შემთხვევაში, „გადავრჩით“, მაგრამ, როგორც ბრძანეთ, ადრე ხდებოდა მსგავსი რამ. რა მექანიზმები არსებობს იმის საწინააღმდეგოდ, რომ ბანკებმა თავიანთ სასარგებლოდ არ გამოიყენონ მსგავსი სიტუაციები?

— ბანკები, რომლებსაც მსხვილი აქტივები აქვთ და შეუძლიათ ბაზარზე ვალუტის კურსის ცვლილების საქმეში გადამწყვეტი როლიც ითამაშონ, ზოგჯერ იყენებენ თავიანთ შესაძლებლობებს.

კომერციული ბანკები ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი მოგება მიიღონ. ამ შემთხვევაში, უნდა გამოჩნდეს ეროვნული ბანკის პოზიცია და კომერციულ ბანკებს არ მისცეს საშუალება, ზედმეტი შემოსავალი მიიღონ კრიზისული სიტუაციებიდან. თუმცა, კომერციულ ბანკებს არავინ უკრძალავს, მიიღონ მაქსიმალური მოგება კანონით დადგენილი საბანკო ოპერაციებიდან.

— ბატონო ვასილ, ხშირად ხდება ხოლმე, საღამოს ვალუტის სხვა კურსია ბაზარზე, გათენდება და სულ სხვა კურსს ვღებულობთ. რა ხდება ღამე?

— ფული არის საქონელი. ის იგივეა, როგორც, მაგალითად, ვაშლი, რომელიც, შესაძლოა, დღეს ღირდეს ძვირი, რადგან ბაზარში ცოტა ვაშლი შემოვიდა და ხვალ შეიძლება გაიაფდეს, თუკი იმ დღეს ბაზარში ბევრ ვაშლს შემოიტანენ. ასევეა ფულის შემთხვევაშიც. როცა ბაზარზე ბევრი ლარი გამოვა, ლარის კურსი ეცემა და ა. შ. კურსი დგინდება მიწოდება-მოთხოვნის საფუძველზე. იგივე ხდება დოლართან მიმართებაშიც.

— რატომ არის აუცილებელი ლარი იყოს „მიბმული“ დოლარზე?

— თქვენ გეშლებათ — „მიბმული“ არ არის.

საქმე ისაა, რომ ჩვენ ვართ საბაზრო ეკონომიკის ქვეყანა, სადაც კურსები დგინდება ბაზრიდან გამომდინარე და თუ ჩვენ არ გვინდა ვიყოთ „მიბმული“, მაშინ უნდა ვიყოთ ჩრდილოეთი კორეა, ან სსრკ, სადაც ვალუტის გაცვლით კურსი დგინდებოდა სახელმწიფოებს შორის მოლაპარაკების საფუძველზე.

— მოსახლეობას კანონით ეკრძალება სავაჭრო ოპერაციები დოლარში განახორციელოს, ბანკებს კი ამ კუთხით სრული თავისუფლება აქვთ. რატომ აქვთ პრივილეგია ბანკებს?

— არავითარი პრივილეგია. ნებისმიერ ადამიანს, თუ აქვს შესაბამისი ანალიტიკური ნიჭი და გონება, აქვს ინფორმაცია, იყიდის დოლარს და მეორე დღეს გაყიდის. მე მოვიპოვებ ინფორმაციას ინტერნეტით და ვაწარმოებ ვალუტის გაცვლის ოპერაციებს.

ამით იმის თქმა მინდა, რომ ინფორმაციაზე, ინტერნეტის წყალობით ყველას მიუწვდება ხელი, მაგრამ საჭიროა სწორი ანალიზი, რასაც ყველა ვერ ახერხებს. ამიტომ ვთქვი ზემოთ ნიჭი და გონიერება არის საჭირო-მეთქი.

— ბატონო ვასილ, როგორც ბანკის ყოფილმა თანამშრომელმა, აგვიხსნით, რა არის ბანკის უპირველესი ფუნქცია?

— ბანკი გახლავთ კომერციული სტრუქტურა, კომერციული წარმონაქმნი, რაც იმას ნიშნავს, რომ მან უნდა მიიღოს მოგება და თავის აქციონერებს ფინანსური სარგებელი მოუტანოს.

— ყოველივე ეს ეროვნულმა ბანკმა რომ გააკეთოს?

— ეროვნული ბანკი სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი კომერციული ბანკების ზედამხედველი სტრუქტურაა. სახელმწიფომ, საერთოდ, არ შეიძლება ბიზნესი აწარმოოს. საბჭოთა კავშირი სწორედ ამან დაღუპა.

ძალიან კარგი, რომ ჩამოყალიბდა საპარტნიორო ფონდი, სადაც ძირითად დონორად გვევლინება ბატონი ბიძინა ივანიშვილი.

ინვესტორი დებს ფულს საქართველოს ეკონომიკაში და როცა დაინახავს, რომ მისი პარტნიორი არის სახელმწიფოს მიერ დაარსებული ორგანიზაცია — ამ შემთხვევაში, საპარტნიორო ფონდი, ინვესტორი უფრო მშვიდადაა, თამამად დებს ინვესტიციებს, რადგან მან იცის, რომ მისი პარტნიორია სოლიდური ფონდი, იწყებს წარმოებას, ასაქმებს ხალხს, იღებს შემოსავალს, ივსება ბიუჯეტი, იქმნება სახელმწიფოს კეთილდღეობა.

— რაც სახელმწიფოს და მოსახლეობას სიკეთეს არ აძლევს, ეს არის, მარტივად ვთქვათ, ცუდი. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდეგ მოსახლეობამ ეკონომიკური სიკეთე და სარგებელი ვერ მიიღო, კომერციულმა ბანკებმა მიიღეს. სიღარიბის ინდექსი ქვეყანაში კვლავ მაღალია. კომერციული ბანკები კი მდიდრდებიან. რა არის ამის მიზეზი? თქვენ ამბობთ, რომ ბანკები არაფერ შუაშია. აბა, ვინ არის დამნაშავე?

— ბიზნესს ვინც იწყებს, ის თავის თავზე ფიქრობს. იგივეა ბანკები. ისინიც მოგებაზე ფიქრობენ. კი, გასაგებია, მოხდა ისე, რომ მოსახლეობა ჩავარდა ვალებში, მაგრამ არ უნდა დავაბრალოთ ყველაფერი ბანკებს.

კომერციულ ბანკებს ჰყავთ „ზედამხედველი“ ეროვნული ბანკის სახით. მან არ უნდა მისცეს უფლება კომბანკებს, მაღალ პროცენტებში გასცენ სესხები. 70–80% სესხებს რომ გასცემენ, ეს, თავისთავად ცხადია, არასწორია და ასეთი მოქმედებები უნდა აკრძალოს ეროვნულმა ბანკმა. ეროვნულმა ბანკმა დაადგინა მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ასევე უნდა დაადგინოს მაქსიმალური საკრედიტო მარჟა. ამ ეტაპზე ეს აუცილებლად უნდა გაკეთდეს.

— აქამდე სად იყო ეროვნული ბანკი?

— საბედნიეროდ, ახალი პრემიერ-მინისტრი თავიდანვე დაინტერესდა ამ საკითხებით და მადლობა მას, რადგან ხედავს, რომ ხალხი დაიჩაგრა.

ონლაინკრედიტები სასტიკად აზარალებს მოსახლეობას. იმედია, ეროვნული ბანის მიერ ამჟამად მიღებული ზომები სიტუაციას დაარეგულირებს.

ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების მოთხოვნით შეიქმნა და საქართველოშიც, როგორც სხვა ცივილიზებულ ქვეყნებში, ფუნქციონირებს ორგანიზაცია, სახელად „კრედიტ-ინფო“, სადაც გროვდება სხვადასხვა ინფორმაციები. მათ შორის, იმ პირების შესახებ ინფორმაციები, რომლებმაც კრედიტის გადახდის ვადას გადააცილეს ერთ თვეზე მეტი დროით. მოქალაქეები ე.წ. „შავ“ სიაში შეჰყავთ და 7 წლის განამვლობაში ეზღუდებათ საკრედიტო რესურსებზე წვდომა. მისასალმებელია, რომ სახელმწიფოსგან წამოვიდა ინიციატივა, რომ სესხების გაცემა მოხდეს ფაქტობრივი მონაცემებით.

— ბანკს განუსაზღვრელი უფლებები აქვს?

— ბანკი ხელშეკრულებით დადგენილი მოთხოვნების მიხედვით მოქმედებს, მაგრამ ბოლო ხანებში ახალი რეგულაციები დაწესდა. ამ რეგულაციამდე ბანკებს შეეძლოთ, როგორც მოესურვებოდათ, ისე განესაზღვრათ ჯარიმები.

გეთანხმებით, ჯარიმები ზოგჯერ არაადექვატური იყო და გონივრულ ზღვარს სცილდებოდა კიდეც.

ერთ-ერთ ბანკს ჰქონდა ასეთი ჯარიმა: მოქალაქეს გადასახდელი ჰქონდა საპროცენტო სარგებელი თვეში 60 ლარი, მსესხებელმა გადახდა დააგვიანა ერთი დღით, ბანკმა დაუმატა ჯარიმა 4 ლარი, მომდევნო დღეს კიდევ 4 ლარი, მესამე დღესაც ასე და თხუთმეტ დღეში გადასახდელი თანხა ორმაგდებოდა. ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო კარგა ხანს. საბედნიეროდ, ამ კუთხით ცვლილებები შევიდა კანონმდებლობაში.

სამწუხაროდ, ეროვნული ბანკისგან დროზე არ მოხდა რეაგირება. ამ საქმეში მოიკოჭლა ირაკლი ქადაგიძემ.

— ამ „მოიკოჭლამ“ ოჯახები გაღატაკა. უამრავი დანაშაულია ჩადენილი, ადამიანების ბედ-იღბლით დიდი თანხები იშოვეს ვიღაცებმა და ამაში დროულად არ ჩაერია სახელმწიფოც...

— გეთანხმებით, ჩვენ საბაზრო ეკონომიკის სახელს არ უნდა შევწიროთ ქვეყნის განვითარება და თუ ვინმე არის საბანკო სისტემაში დამნაშავე, უნდა დაისაჯოს!

მაგრამ, რაც მთავარია, დღეს, ჩვენი ეროვნული ვალუტა არის მყარი და ეკონომიკის განვითარება მიმდინარეობს სტაბილურად. რეგიონში ყველაზე მაღალი ტემპით. ყოველივე ეს კი მოხერხდა ჩვენი დასავლელი პარტნიორების მხარდაჭერითა და თანადგომით. ისინი გვასწავლიან, როგორ უნდა ავაშენოთ საბაზრო ეკონომიკა. ისინი რომ არა, ჩვენ ვიქნებოდით, როგორც ბანანის რესპუბლიკა.

— საბაზრო ეკონომიკაა ის, რომ მოქალაქეს სესხს 60%-ად აძლევენ?

— ამიტომ გავიმეორებ: დავაწესოთ მაქსიმალური საკრედიტო მარჟა, სანამ შეზღუდულია ქვეყანაში საკრედიტო რესურსები, აუცილებელია, ეროვნულმა ბანკმა საკრედიტო მარჟის მაქსიმალური პროცენტი დაიფიქსიროს. როცა რესურსები საკმარისი იქნება, ბაზარი თავად დაარეგულირებს ამ საკითხს.

ახლა, სხვათა შორის, აქცია აქვს საქართველოს ბანკს — 4% იპოთეკური სესხი ევროში. ეს, საქართველოს სინამდვილეში, უპრეცედენტო შემთხვევაა. ასეთი დაბალი პროცენტი, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, აშშ-ის ზოგიერთ კომერციულ ბანკშიც არ არის. ეს შედეგია ბანკის ფინანსურად გაძლიერების. პარტნიორები ენდობიან მას და როგორც სტაბილურ და საიმედო საფინანსო ინსტიტუტს, დაბალ პროცენტში აძლევენ საკრედიტო რესურსებს. თუ იქნება ქვეყანაში ისეთი ბანკები, როგორიცაა, მაგალითად, საქართველოს ბანკი, საკრედიტო განაკვეთი მაქსიმალურად შემცირდება და ხალხიც სარგებელს მიიღებს კომბანკების გაძლიერებისგან.

ასე რომ, თანდათან ჭკუას ვსწავლობთ, საბაზრო ეკონომიკას ვეჩვევით. სახელმწიფო ნელ-ნელა ფეხზე დგება. მე დამაიმედებელი პროგნოზები მაქვს და დარწმუნებული ვარ, საქართველო ახლო მომავალში ეკონომიკურად ძლიერი და წარმატებული ქვეყანა გახდება.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

გიორგი მარგველაშვილი პრეზიდენტობიდან ენჯეოების დირექტორად „ჩამოლაბორანტდა“

გვესაუბრება უფლებადამცველი, არასამთავრობო ორგანიზაცია „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორიის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი გრიგოლ გაგნიძე.

— ბატონო გრიგოლ, როგორც ვიცით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, შეიძლება ვთქვათ, მოულოდნელად გადადგა. თქვენ, როგორც იურისტს, გკითხავთ, რა ხდება ქართულ სასამართლო სისტემაში?

— მოდით, ცოტა შორიდან დავიწყოთ. ნინო გვენეტაძის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ ვამბობდი, რომ მასზე დაიწყებოდა, ფაქტობრივად, თავდასხმები, როგორც ცალკეული მოსამართლეების მხრიდან, ასევე სხვა მოწინააღმდეგეთა მხრიდან. ობიექტურობისთვის უნდა ვაღიაროთ, რომ იუსტიციის საბჭოს და უზენაესი სასამართლოს საქმიანობა საჯარო იყო. ქალბატონი ნინო ცდილობდა, ეტაპობრივად განერიდებინა „ნაცმოძრაობის“ დროინდელი სკანდალური მოსამართლეები. ეს გახლდათ ერთ-ერთი ნაბიჯი, რომელმაც მოსახლეობის დაკვეთასთან, სამართლიანობის აღდგენასთან მიგვიყვანდა. მართალია, ქალბატონი ნინო ათი წლით იყო გამწესებული პარლამენტის მიერ თანამდებობაზე, მაგრამ მხოლოდ სამი წელი იმოღვაწევა. სამწუხაროდ, მას არ ჰყავდა გუნდი, რომელიც ნაცების მოსამართლეების ზეწოლას გაუმკლავდებოდა სისტემაში, ამის გარდა, ჩვენთან სასამართლო მუდმივ რეფორმების გავლენის ქვეშ არის. ქალბატონი ნინო გვენეტაძის გადადგომის მიზეზი გახდა იუსტიციის საბჭოში არსებული შიდა დაპირისპირება, გარკვეული პოლიტიკური ძალების, ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის და ე.წ. „თავისუფალი მედიის“ (როგორც თვითონ უწოდებენ საკუთარ თავს) აშკარა თუ ფარული შეტევა. გაზაფხულზე ქვეყნის მთავარი პროკურორო გადადგა, რამდენიმე თვეში — უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. ამას მე პირადად შემთხვევითობას ან დამთხვევას ვერ დავარქმევდი, საყურადღებო, შესასწავლი ფაქტებია. კარგია ქვეყანაში დამოუკიდებელი სასამართლოს არსებობა, მაგრამ კონტროლი აუცილებელია, რათა კლანური, მაფიოზური სისტემა არ ჩამოყალიბდეს. კონტროლი კი იუსტიციის საბჭომ უნდა განახორციელოს, რომელიც პროფესიონალებით უნდა იყოს დაკომპლექტებული. ვიმეორებ, ნინო გვენეტაძეს არ ჰყავდა გუნდი, რომელიც იგივე რეფორმების გატარებაში დაეხმარებოდა. ასე ჩანს დღევანდელი გადასახედიდან.

— სამართლიანობის აღდგენის პროცესი, დამეთანხმებით, მძიმედ და ნელა მიმდინარეობს, რაც მოსახლეობაში უკმაყოფილებას იწვევს.

— ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენა მხოლოდ პროკურატურის მიერ არ ხდება. საზოგადოების ნაწილი რატომღაც ხელს პროკურორისკენ იშვერს, მათი მოვალეობაა. თუმცა სამართლიანობის აღდგენის საქმეში უდიდესი წვლილი სასამართლოს ეკისრება, გადაწყვეტილება მათ უნდა გამოიტანონ. სამართლიანობის აღდგენას ადამიანმა სასამართლოს მეშვეობით უნდა მიაღწიოს. სამწუხაროდ, ჩვენთან პროცესები წლობით იწელება. ავიღოთ თუნდაც ფოტოგრაფების, რობაქიძის, ვაზაგაშვილის საქმეები. როდესაც ასეთი გახმაურებული საქმეები სასამართლოში წლობით იწელება, რიგითმა მოქალაქეებმა, რომელთა საქმეები ფართო საზოგადოებისთვის უცნობია, მაგრამ დიდი მორალური და მატერიალური ზიანი მიადგათ, რა უნდა ქნან. ამიტომაც გეუბნებით, სამართლიანობის აღდგენაში სასამართლოს განსაკუთრებული როლი აკისრია პროკურატურასთან ერთად.

— ბატონო გრიგოლ, ქვეყნის პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ჯერ ვერ ჩამოყალიბდა სასამართლოს სისტემის საკითხში. ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანს შორიდან. ამასთან, ნინო გვენეტაძის გადადგომის შემდეგ მის მიმართ კრიტიკა არ დაიშურა. რასთან გვაქვს საქმე?

— პრეზიდენტ მარგველაშვილის კრიტიკა ნინო გვენეტაძის გადადგომის შემდეგ არ იყო პოლიტიკოსის განცხადება. ამიტომაც განაცხადა იუსტიციის მინისტრმა ქალბატონმა თეა წულიკიანმა, წაქცეულს ქვა დაადევნაო. მარგველაშვილი პოლიტიკოსად ვერ ან არ ჩამოყალიბდა, იგი გარკვეული არასამთავრობო ორგანიზაციების დირექტორად იქცა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ნინო გვენეტაძე თანამდებობაზემისი წარდგენილი იყო. მარგველაშვილის არაპოლიტიკოსობაზე ისიც მეტყველებს, რომ არასამთავრობოების მარწუხებში მოექცა, ნეპოტიზმის ნიშნით ურიგებდა თანამდებობებს მათი ორგანიზაციის წევრებს თუ სასურველ, ლოიალურად განწყობილ პირებს. გადახედეთ თუნდაც მისი ადმინისტრაციის კადრებს. ამიტომაც აპირებდა არასამთავრობოების წარდგენილი კანდიდატების დასახელებას. ნაციონალებთან მისი მეგობრული დამოკიდებულება ხომ საიდუმლო აღარავისთვისაა.

— ზოგიერთი მათგანი იმასაც ამბობს, კარგი იქნება, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ არამოსამართლე პირი დაინიშნოსო. თქვენ როგორ მიგაჩნიათ?

— დამახინჯებული ცნებაა. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე მოსამართლე უნდა იყოს, სხვაგვარად როგორ შეიძლება? წარმოიდგინეთ, სატანკო ჯარს მეთაურად მფრინავი დაუნიშნონ? პროფესიულ წრეებში მსგავსი მიდგომა ნიჰილიზმს, გულგატეხილობას იწვევს. ასე მივიღებთ იმაზე უარეს სიტუაციას, რაც გვაქვს. სამწუხაროა, როდესაც მართლმსაჯულების თემაზე არაკომპეტენტური, გარედან მაცქერალი ხალხი უფრო ბევრს ტლიკინებს და ლაყბობს, ვიდრე პროფესიონალი წრეების წარმომადგენლებს გვეკითხებოდნენ, ვისაც უშუალო შეხება გვაქვს მართლმსაჯულების სფეროსთან. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ უნდა აირჩეს პიროვნება, რომელიც დააჩქარებს სამართლიანობის აღდგენის პროცესს, მოაგვარებს არსებულ დაგროვილ პრობლემებს და, რაც მთავარია, შეამცირებს საზოგადოების უკმაყოფილებას სასამართლო სისტემის მიმართ. ახლა არ დავკონკრეტდები, მაგრამ ჩვენს სასამართლო სისტემაში, საბედნიეროდ, არიან კვალიფიცირებული ადამიანები, ვისგანაც შეიძლება ავირჩიოთ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და არა უცხო, არაპროფესიონალი პირი.

— ბატონო გრიგოლ, კვლავ არასამთავრობო ორგანიზაციებზე გკითხავთ. ხშირად მთავრობის ზოგიერთი წევრი და, პირველ რიგში პრეზიდენტი ჭკუას მათ ეკითხებიან, ვისაც სფეროში საერთოდ არ უმუშავიათ. ამჯერად მხედველობაში სამართალდამცავი სტრუქტურები მაქვს. რამდენად გამართლებულია მსგავსი მიდგომა?

— დღევანდელი პრეზიდენტის ადმინისტრაცია შერჩევითი არასამთავრობო ორგანიზაციების წინ წამოწევის ტრიბუნად იქცა. ყოველივე ეს კი აკნინებს პრეზიდენტის ინსტიტუტს, როდესაც პირადი სიმპათიებით თუ სხვა მოსაზრებებით, ოღონდ არა პროფესიული ნიშნით ხდება მათთვის უპირატესობის მინიჭება. თუმცა, როგორც ჩანს, მარგველაშვილს ფავორიტი არასამთავრობოებიც აუმხედრდნენ. რამდენიმე დღის წინ პრეზიდენტის მიერ ხელდასხმული ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაციის წევრმა ტელევიზიით კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა მარგველაშვილი, რადგან ვერ მოახერხა, პარლამენტისთვის თავს მოეხვია მათთვის სასურველი კანდიდატურის წარდგენა. როგორც ვხედავთ, მარგველაშვილი თანამოაზრეებსაც დაუპირისპირდა. საერთოდაც, არაპროფესიონალების აზრი მართლმსაჯულებაში მხოლოდ რეკომენდაციის სახით უნდა განიხილებოდეს, თორემ შემდეგ ამბიციები უჩნდებათ და ჭკუას უკვე პროფესიონალებსაც ასწავლიან.

— და ბოლოს: თქვენი აზრით, როდის დაასახელებენ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატებს?

— ვფიქრობ, მმართველი პარტია პარლამენტში ახალ საპრეზიდენტო არჩევნებამდე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტს ვაკანტურად დატოვებს. აქედან გამომდინარე, მთავარი მოვლენები უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე ახლადარჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ განვითარდება.

გია ბურდული
551 71 27 07

ძლიერი რეგიონები

დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტში

● საქართველოს მთავრობის ინიციატივით, ფშავ-ხევსურეთისა და გუდამაყრის ხეობის ინტერნეტიზაცია, მაღალმთიან სოფლებში პარამედიკოსების პროგრამა განხორციელდება, ხოლო 100-ზე მეტი დღემდე უშუქო სოფელი ელექტროენერგიას მიიღებს, — ეს გადაწყვეტილებები მთის განვითარების ეროვნული საბჭოს სხდომაზე მიიღეს, რომელიც პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძის ხელმძღვანელობით მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.

ფშავ-ხევსურეთისა და გუდამაყრის ხეობის ინტერნეტიზაციისთვის თანხა მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან გამოიყოფა;

ჯანდაცვის სამინისტრო განახორციელებს პარამედიკოსების პროგრამას — მთაში მცხოვრებთა ტრენინგს პირველადი დახმარების კუთხით, რაც ადგილობრივებს საშუალებას მისცემს, პირველადი დახმარება თანასოფლელებს სასწრაფო დახმარების მისვლამდე გაუწიონ;

განიხილება საქართველოს მთავრობისა და USAID-ის ერთობლივი დაფინანსებით მზის პანელებითა და შესაბამისად, ელექტროენერგიით 100-ზე მეტი სოფლის, კონკრეტულად 400-მდე ოჯახის უზრუნველყოფა, რომლებსაც ელექტროენერგია დღემდე არ მიეწოდებოდათ.

როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა სხდომაზე განაცხადა, მმართველი პოლიტიკური გუნდის მიღწევებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი სწორედ მთის განვითარების პროექტს უჭირავს.

კანონი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს ხელისუფლებამ 2015 წელს მიიღო. დღეისთვის, მაღალმთიანი დასახლების სტატუსით სარგებლობს 1730 დასახლება, კანონით დადგენილი შეღავათებით კი — 330 ათასი ადამიანი.

● სოფ. ჩარგალში ვაჟა-ფშაველას მემორიალური მუზეუმის რეაბილიტაციისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტით ასევე გათვალისწინებულია სცენის სრული განახლება.

მიმდინარე სამუშაოები დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის გაერთიანებული ოლქის მაჟორიტარმა დეპუტატმა ზაქარია ქუცნაშვილმა და დუშეთს მუნიციპალიტეტის მერმა ზურაბ სეხნიაშვილმა დაათვალიერეს.

● ჟინვალი-ბარისახოს დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია გრძელდება. გზის რეაბილიტაცია კიდევ უფრო მეტ სტრატეგიულ მნიშვნელობას შესძენს დუშეთის მუნიციპალიტეტს, მნიშვნელოვნად შეამცირებს ამ მონაკვეთზე გადაადგილების დროს და როგორც ადგილობრივებისთვის, ისე ტურისტებისთვის კომფორტულ და უსაფრთხო გადაადგილებას უზრუნველყოფს.

გზის რეაბილიტაცის სამუშაოები 2017 წელს დაიწყო და დღემდე გრძელდება.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში

● ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული — გუბერნატორი ზურაბ ნასარაია იმყოფებოდა. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებთან და მერიის თანამშრომლებთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრის შემდეგ, გუბერნატორმა მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაათვალიერა:

გოგებაშვილის ქუჩაზე — მინისაკალათბურთო მოედანი;

სოფ. ქვემო ერკეთის, მოედანას, იანეულისა და ბუკისციხის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მშენებლობა;

სოფელ ვაზიანში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;

სოფელ ხიდისთავში ანა კალანდაძის სახელობის სკვერის მოწყობის სამუშაოები.

გუბერნატორმა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებთან საუბრისას აღნიშნა, რომ 2019 წელს განსახორციელებელი პროექტების დაგეგმვისას მაქსიმალურად გაითვალისწინონ მოსახლეობის მოთხოვნები და მოსაზრებები, ასევე ისაუბრა თვითმმართველობასა და ცენტრალური ხელისუფლების უწყებებს შორის კიდევ უფრო კოორდინირებული თანამშრომლობის აუცილებლობაზე.

ჩოხატაური

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში

● მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა,, აწარმოე საქართველოში“ მეოთხე ეტაპს იწყებს. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააგენტოს — „აწარმოე საქართველოში“ — ორგანიზებით და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით ქ. დედოფლისწყაროსა და სოფელ ზემო ქედში გაიმართა შეხვედრები ადგილობრივ მეწარმეებთან და მოსახლეობასთან.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის მერმა ჯონდო მდივნიშვილმა, პირველ მოადგილესთან და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან ერთად, მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაათვალიერა.

სოფელ აფენში, წერეთლის ქუჩაზე, 1 კმ-მდე სიგრძისა და 6 მეტრი სიგანის გზაზე ასფალტის საფარი იგება. პროექტის ღირებულება 210 464 ლარია.

სიღნაღის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის სამ სოფელში, ტიბაანში, ვაქირსა და ანაგაში ახალი ჭაბურღილების, წყლის ქსელებისა და რეზერვუარების მოწყობა მიმდინარეობს. სამუშაოები მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გოგილაშვილმა მოადგილესთან ერთად დაათვალიერა.

რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით სამივე სოფელში, მთლიანიობაში, 284 445 ლარი დაიხარჯება. ახალი ჭაბურღილიდან მიღებული წყლით კი 200-მდე ოჯახი ისარგებლებს. სამუშაოები სექტემბრის ბოლოს დასრულდება.

გურჯაანის მუნიციპალიტეტში

● გურჯაანის მერმა არჩილ ხანდამაშვილმა ქალაქ გურჯაანში, ვაჟა-ფშაველას ქუჩის (ქვაფენილის ზედა მხარის) რეაბილიტაციის სამუშაოები დაათვალიერა და მოსახლეობას შეხვდა. გურჯაანელები კმაყოფილი არიან მიმდინარე სამუშაოებით.

ამ გზის რეაბილიტაცია მოსახლეობის თხოვნით მიმდინარეობს. იგება 252 გ/მეტრი გზა, ხოლო პროექტის ჯამური ღირებულება 110 500 ლარია.

● გურჯაანის მერიაში გაიმართა შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ რთვლის საკოორდინაციო შტაბის უფროსი ანდრო ასლანიშვილი, მისი მოადგილე პეტრე მესხიძე, მათი წარმომადგენლები გურჯაანის მუნიციპალიტეტში ალექსანდრე აზნარაშვილი და ზურაბ ასათიანი, გურჯაანის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლები. შტაბის სხდომაზე იმსჯელეს რთვლის მოსამზადებელი სამუშაოების შესახებ. როგორც ანდრო ასლანიშვილმა განაცხადა, რთვლის შტაბი უახლოეს დღეებში გაიხსნება, დაიწყება ამ პროცესში ჩართვის მსურველი კომპანიების რეგისტაცია და შტაბი, გასული წლების მსგავსად, 24-საათიან რეჟიმში იმუშავებს

● სოფელ ჭერემში, მოსახლეობის თხოვნით, შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს, გზის სავალ ნაწილზე უკვე დაგებულია ასფალტი. სამუშაოების ღირებულება 358 760 ლარს შეადგენს და ის 27 სექტემბერს დასრულდება.

● გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახში სასაფლაოს გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. პროექტის ღირებულება 555000 ლარია. ნონეშვილის მუზეუმის ასახვევიდან სასაფლაოსკენ მიმავალი გზის რეაბილიტაციასთან ერთად, ცენტრალური გზიდან უბნებში ბეტონის ჩასასვლელებიც კეთდება.

გურჯაანი

ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერია

● საქართველოს მთავრობის ინიციატივით ხორციელდება სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში,“ რომლის მიზანია ქვეყანაში მეწარმეობის განვითარება და მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნის ხელშეწყობა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდა.

პროგრამის ფარგლებში 2015 წლიდან დღემდე 4800-ზე მეტი ბიზნესპროექტი დაფინანსდა. ბენეფიაციარები, რომლებმაც ისარგებლეს გრანტებით, წელსაც შეძლებენ კვლავ მიიღონ დაფინანსება.

პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ რეგიონალურმა წარმომადგენლებმა ფოთში შეხვედრა გამართეს, რომელზეც დაინტერესებულ პირებს პროგრამის პირობები და ძირითადი მოთხოვნები გააცნეს.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში

● ახალ სასწავლო წელს მუნიციპალიტეტის 34 საბავშვო ბაღი ახალი ინვენტარით შეხვდება. 24000 ლარამდე ღირებულების ინ-

ძლიერი საქართველოსთვის

ზუგდიდი

ვენტარის განაწილების პროცესს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მაიზერ ნანავა და ა(ა)იპ „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის“ ხელმძღვანელი ხათუნა თოლორაია დაესწრნენ.

● მუნიციპალიტეტის ოქტომბრის ადმინისტრაციულ ერთეულში, ცენტრიდან ყოფილი პროფტექნიკური სასწავლებლის, ახალკახათის გავლით, ზუგდიდი-ანაკლიის საავტომობილო გზამდე, საავტომობილო გზის რეაბილიტაციის მესამე ეტაპის სამუშაოების შესყიდვაზე ტენდერი გამოცხადდა.

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 400 000 ლარია.

მარტვილის მუნიციპალიტეტში

● საგრანტო პროექტი „აწარმოე საქართველოში“ დაიწყო. ამასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გამართულ შეხვედრაზე ადგილობრივმა მეწარმეებმა და მოსახლეობამ პროექტის პირობების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს.

მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის სახელმწიფო საგრანტო პროგრამა 2018 წლის 20 აგვისტოდან ახალი პირობებით განახლდა და 2 სექტემბრის ჩათვლით გაგრძელდება. გაიზარდა დაფინანსების მაქსიმალური მოცულობა – 15 000 ლარის ნაცვლად 20 000 ლარია. წელს პროგრამის პრიორიტეტებია ინტელექტუალური სერვისები, ქალი-მეწარმე, სტარტაპი და ბიზნესი სოფლად.

პროგრამის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ვებგვერდზე www.qartuli.ge ან ცხელი ხაზის ნომერზე 1525.

სენაკის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის მერიის სააქტო დარბაზში, კომპანია,, ჯი ემ სი ჯი ინოვას'' სამეგრელოს ოფისის რეგიონალურმა მენეჯერმა ალექსანდრე თოლორაიამ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა გამართა. ადგილობრივ მეწარმეებსა და საზოგადოების წარმომადგენლებს გააცნეს ის სიახლეები, რომლებიც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააგენტოს განახლებული პირობების განხილვას მიეძღვნა.

2018 წელს საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება ექნება როგორც მეწარმე სუბიექტს, რომელსაც პროგრამის ფარგლებში დაფინანსება არ მიუღია (ან პირველად მონაწილეობს), ისე მეწარმე სუბიექტს ან მეწარმე სუბიექტთა ჯგუფს, რომელმაც ერთხელ უკვე ისარგებლა პროგრამის მიკრო და მცირე მეწარმოების ნაწილით განსაზღვრული ხელშეწყობით.

თუკი მეწარმეს სურს მიიღოს გრანტი, მან უნდა წარადგინოს პროექტი, რომელიც შეეხება მისთვის უკვე დაფინანსებული საქმიანობის გაფართოებას.

ცვლილებების შემდეგ აღარ არის აუცილებელი სამეწარმეო ამხანაგობის შექმნა და ერთ ბენეფიციარს შეუძლია განაცხადი გააკეთოს პროგრამით გათვალისწინებული თანადაფინანსების თანხის მთლიან მოცულობაზე. პროგრამის ბენეფიციარის/ბენეფიციართა ჯგუფის მიერ პროგრამაში თანამონაწილეობის წილი განისაზღვრება დაფინანსების თანხის არანაკლებ 50 პროცენტით, მაშინ, როდესაც პროგრამაში ახალი ბენეფიციარის თანამონაწილეობის წილი განისაზღვრება დაფინანსების თანხის არანაკლებ 20 პროცენტით.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში

● სოფელ ლეწურწუმეში ასფალტბეტონის გზა იგება. სამუშაოები მუნიციპალიტეტის მერმა დათო გოგუამ და მერის პირველმა მოადგილემ გოჩა ჩიქოვანმა მერიის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენელთან ერთად დაათვალიერეს.

ნაკიფუ-ჩხოროწყუ-ლეწურწუმეს საავტომობილო გზის 3 კმ. მონაკვეთზე ასფალტბეტონის საფარი დაიგება. პროექტი ითვალისწინებს აგრეთვე ეზოში შესასვლელების, მიერთებების, წყალამრიდი მილების, ბეტონის კიუვეტების, გაბიონების მოწყობას და ახალი ხიდის მშენებლობას.

პროექტი მუნიციპალური განვითარების ფონდმა 2 396 069 ლარით დააფინანსა. სამუშაოები 2019 წლის გაზაფხულზე დასრულდება.

ბოლნისის მუნიციპალიტეტყში

● მერაბ კოსტავასა და წისქვილის ქუჩების პარალელურად გზის ქვაფენილით მოპირკეთება ფარნავაზ მეფის, შოთა რუსთაველისა და ლადო ასათიანის ქუჩებზეც მიმდინარეობს. ადგილობრივი ბაზალტით ქვაფენილით მოპირკეთების სამუშაო რამდენიმე დღის წინ დაიწყო და იგი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდება. მოწესრიგდება ტროტუარები და სანიაღვრე ცხაურები. სამუშაოებზე ადგილობრივები დასაქმდებიან.

● ქალაქ ბოლნისის კულტურისა და დასვენების პარკს სამომავლოდ ახალი დეკორატიული ღობე ექნება. ამის შესახებ ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელმა პირებმა მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროში იმსჯელეს.

შედეგად, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარმა დეპუტატმა გოგი მეშველიანმა, მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა და სხვა ხელმძღვანელმა პირებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ პარკის ცენტრალური შესასვლელის რეაბილიტაციაში ჩაერთოს მოსახლეობა.

დმანისის მუნიციპალიტეტში

დმანისის მუნიციპალიტეტში გამოცხადებული ტენდერები:

● სოფელ ირგანჩაიში მდებარე მდინარის კალაპოტის ჩაღრმავების, მილხიდის მოწყობისა და სოფელ ლოქჭანდრის მისასვლელ გზაზე ორი მილხიდის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების შესყიდვა. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაა 11 441 ლარი.

● ქ. დმანისში წმ. ნინოს ქ. №41-ში მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში სარეკონსტრუქციო სამუშაოების, ქ. დმანისში 9 აპრილის ქ. №15-ში მდებარე ყოფილი არქივის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების, ქ. დმანისში წმ. ნინოს ქ. №39-ში, №24 დმანისის საოლქო-საარჩევნო კომისიის შენობის ფასადის სარეაბილიტაციო, დმანისის მუნიციპალიტეტის საზღვრის აღმნიშვნელი (ბანერის) მონუმენტის მოწყობის, ქ. დმანისის შემოსასვლელში არსებული მონუმენტის და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობისა და დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საპიკნიკეების მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების შესყიდვა. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 12 407 ლარია.

● დმანისის მუნიციპალიტეტში, სოფ. პანტიანსა და ტნუსში შიდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 317 000 ლარი.

● ქ. დმანისის ქუჩების მოასფალტების, სოფ. დიდი დმანისისა და ვარდისუბნის რ/ბ არხების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 567 075 ლარი.

● სოფ. ირგანჩაის, გუგუთის, ქვემო ყარაბულახის, უსეინქენდის, კამარლოსა და ახალი გოდაგდაგის წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია/მშენებლობის სამუშაოებისა და სოფ. მთისძირის ტერიტორიაზე წყლის შემკრების/რეზერვუარის და მაგისტრალური ხაზის მშენებლობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების შესყიდვა. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 24 472 ლარი.

მარნეულის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის ქუთლიარის ადმინისტრაციულ ერთეულში ახალი სატუმბი სადგური აშენდება. ამჟამად, ბოლნისის, დმანისის და მარნეულის მუნიციპალიტეტების მიერ გამოცხადებული ერთობლივი ტენდერი, 2019 წელს განსახორციელებელი წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელების (სისტემების) მოწყობისა და რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურებაზე, დასრულებულია. მიმდინარეობს წარმოდგენილი სატენდერო წინადადებების შერჩევა-შეფასება.

აღნიშნულთან დაკავშირებით, უშუალოდ სატუმბი სადგურის ასაშენებლ ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ მერიის სამსახურებისა და განყოფილებების ხელმძღვანელები, შპს „მარნეულის სოფწყალის“ ხელმძღვანელი ნაბი აბდულაევი და გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის წარმომადგენელი. მათ ადგილზე განიხილეს სატუმბი სადგურის მშენებლობის ტექნიკური დეტალები.

სამუშაოებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაახლოებით 5 მლნ ლარი დაიხარჯება.

აღსანიშნავია, რომ სატუმბი სადგურის აშენების შემდგომ სოფლების – ალგეთის, აზიზკენდის, თაზაქენდის, გაჯისაკენდის, ბაიდარის, კაპანახჩის, ალგეთის მეურნეობის დასახლების, I ქესალოს და ამბაროვკის მოსახლეობას მარნეულის მუნიციპალიტეტი თვითონვე მოამარაგებს ხარისხიანი სასმელი წყლით.

ჩამოთვლილ სოფლებს სასმელი წყლით ამარაგებდა კომპანია შპს „რუსთავწყალი“ და 2009 წლიდან დარიცხული დავალიანების გადაუხდელობის გამო მათ წყალმომარაგება შეუწყვიტა. მოლაპარაკებების შედეგად, წლების განმავლობაში გადაუჭრელი პრობლემა მოგვარდა.


ჩხოროწყუ

მერკელის პოლიტიკური ტურნე იმის დასტურია, რომ მზადდება დიდი წინააღმდეგობის დასაწყისი ევროპაში ნატოსა და აშშ-ის გავლენების დასასრულებლად

საკაშვილის დროს მაკკეინის „მეგობრობა“ საქართველოს თვეში 150 000 დოლარი უჯდებოდა

რას ემსახურებოდა ევროპის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სახელმწიფოს პირველი პირის ვიზიტი? მოსაზრებათა „მრავალფეროვნება“ კვლავ გრძელდება. ყველაზე კურიოზული მაინც ნაცმოძრაობისა და მისი განაყრების, პოლიტიკური სპექტრის, „ელიტარი“ ე.წ. უფლებადამცველების და მედიასაშუალებების პოზიციაა, თურმე ქალბატონი მერკელი მათ მხარდასაჭერად ჩამობრძანდა, მოქმედ ხელისუფლებას თითი დაუქნია ხელისუფლების გადაბარებაზე ახლავე იფიქრეთო, „მიმღებ-ჩამბარებლები“ კი „ნაციონალები და კომპანია“ ყოფილან. ინტერნეტსივრცეში ასევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ თითქოს კანცლერმა მერკელმა ერთ-

სქესიანთა ქორწინების დაკანონების აუცილებლობაზე ისაუბრა. რამდენად შეეფერება ეს ინფორმაცია სიმართლეს ვერაფერს მოგახსენებთ, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკ **დავით გაგნიძის** განცხადებით, ეს აბსურდია, იმ დონის პოლიტიკოსი, როგორიც კანცლერი მერკელია იმის სათქმელად არ ჩამოვიდოდა კავკასიაში გეი-წყვილების ქორწინება დააკანონეთო.

დავით გაგნიძე: გერმანიის კანცლერის ვიზიტს სულ სხვა მიზანი ჰქონდა, მან პირდაპირ გვითხრა, რომ ნატოსა და ევროკავშირზე ფიქრს თავი უნდა დავანებოთ, რომ ათწლეულები დაჭირდება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსსა თუ ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანებას. ნიშანდობლივია, რომ კანცლერი პუტინთან შეხვედრის შემდეგ ესტუმრა კავკასიის ქვეყნებს. მე ადრეც არაერთხელ მითქვამს, რომ ამერიკა ტოვებს საქართველოს და საერთოდ კავკასიას, რუსეთს უბრუნებენ თავისი გავლენის სფეროებს. სომხეთში კი მოეწყო ამერიკის ფულით „ხავერდოვანი რევოლუცია“ და ეს ქვეყანა თითქოს ამერიკულ ორბიტაზე გადავიდა, მაგრამ მთლად ასე იოლად რომ არ არის საქმე, სომხეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს მერკელის ვიზიტის დროს სახეზე ეტყობოდათ. „გრანდიოზული“ დახვედრა კი მოუწყვეს გერმანიის კანცლერს, მაგრამ აშკარად ნირწამხდრები იყვნენ, სომხური მედიაც აშკარად უკმაყოფილო იყო. ისინიც გააფრთხილა მერკელმა, რომ არც იფიქრონ სომხეთში ნატოს ბაზების განლაგებაზე. ჯერ კიდევ მიხეილ გორბაჩოვი და გერმანიის მაშინდელი კანცლერი ჰელმუტ კოლი შეთანხმდნენ, რომ გერმანიის გაერთიანების და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების ტერიტორიებიდან საბჭოთა ჯარის გასვლის შემდეგ, იქ ნატოს ჯარი არ შევიდოდა. პოსტსოციალისტურ სივრცეში კი არა, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებშიც ალიანსის სამხედრო ნაწილები დგას. საბჭოთა კავშირისთვის გერმანიას 120 მილიარდი დოლარი უნდა გადაეხადა საბჭოთა ჯარის გასვლის შემდეგ, რომ სამხედრო მოსამსახურეები და მათი ოჯახები საცხოვრებლით დაეკმაყოფილებინათ. რამდენადაც ვიცი, ამ თანხის მცირე



ნაწილი მიიღო საბჭოთა კავშირმა, რომელიც ისევ კორუმპირებული მაღალჩინოსნების ჯიბეებში დაილექა. მერე საბჭოთა კავშირიც დაშალეს და აღმოსავლეთ ევროპიდან გამოყვანილი სამხედრო პირები და მათი ოჯახები ღვთის ანაბარად მიატოვეს. იმიტომაც იყო რუსეთს სრული განუკითხაობის ტალღამ რომ გადაუარა, უსახლკაროდ და ულუკმაპუროდ დარჩენილი პროფესიონალი ოფიცრები, დამნაშავეთა სამყარომ „დაასაქმა“.

გერმანია ყოველწლიურად 80 მილიარდ კუბმეტრ რუსულ გაზს მოიხმარს, ევროპის სხვა ქვეყნებიც რუსული აირის მომხმარებლები არიან, ჯამში 110 მილიარდი ჭირდებათ. უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა ევროპის გაზმომარაგებას პრობლემა შეუქმნა, ამიტომაც გახდა საჭირო „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის მშენებლობა, ეს გაზსადენი ისედაც გახდებოდა საჭირო, რადგან ურენგოი-უჟგოროდის გაზსადენი ვეღარ აკმაყოფილებდა გაზრდილ მოთხოვნებს. ამერიკული ფიქალის დაწნეხილი გაზი როგორ ეყოფა ევროპის მძლავრ ინდუსტრიას, მით უმეტეს, რომ ეს გაზი ხარისხით ბევრად ჩამოუვარდება რუსულს და გაცილებით ძვირი დაჯდება, რადგან ტანკერებით უნდა მოხდეს მისი ამერიკიდან იმპორტი. აბსურდია ის ვერსიაც, რომ თითქოს „სამხრეთის ნაკადის“ გაზსადენის მშენებლობის წინ წამოწევით, რუსეთს ზურგში ლახვარი ჩასცეს და „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის პროექტი ჩაუგდეს. ჯერ ერთი, „სამხრეთის ნაკადის“ მშენებლობა გაცილებით ადრე იგეგმებოდა და საქართველოზე უნდა გაევლო, მაგრამ ჩვენმა მაშინდელმა ხელისუფლებამ თავისი უჭკუობით (ვიღაცას ასიამოვნეს) ამ პროექტზე უარი თქვა. ამ პროექტის მშენებლობა აუცილებლობითაა გამოწვეული, ერთია, რომ რუსული გაზი აღარ ყოფნის ევროპას, თანაც არსებული გაზსადენები ვერ გაატარებენ იმდენ მოცულობას, რამდენზეც მოთხოვნაა. სენატორ მაკეინის გარდაცვალებაზე ისეთი გლოვა გამოაცხადეს ნაციონალებმა და საერთოდ ფსევდოლიბერალებმა თავიანთი ტელევიზიებიანად, რომ მერკელის ესოდენ მნიშვნელოვანი ვიზიტი,

სადღაც მეათე პლანზეა გადაწეული. საქართველოს ეროვნული გმირი და რა სტატუსი აღარ მიანიჭეს მაკეინს და თურმე გლოვის ნიშნად საქართველოს დროშაც სანახევროდ უნდა დავუშვათ. საქართველოს ამ „დიდ“ მეგობარს ყოველთვიურად რამხელა თანხას ურიცხავდა საკაშვილი „მეგობრობაში“, ის თუ იცის ვინმემ, ისევე, როგორც მეორე „მეგობარ“ მეთიუ ბრაიზას? ჩემი ინფორმაციით, მაკეინის ყოველთვიური „გასამრჯელო“ 150.000 დოლარი იყო, ბრაიზა „რანგის“ მიხედვით უფრო მოკრძალებულ თანხას, 50.000 დოლარს ღებულობდა. როგორ შეეწირა მაკეინის საპრეზიდენტო მარათონს საქართველოს ტერიტორიები და უამრავი ადამიანის სიცოცხლე 2008 წლის აგვისტოში, ეს არაერთხელ ითქვა პრესაშიც. საქართველოში ასე რომ იმატა სიკვდილიანობამ, განსაკუთრებით ონკოლოგიური დაავადებების დიაგნოზით, ეჭვი არავის უჩნდება, რომ ეს შეიძლება ამერიკული ლუგარის და კიდევ სხვა ლაბორატორიების, რომელთა სახელიც არ ვიცით, „დამსახურება“ იყოს? თუ მართლაც მიდიან ამერიკელები საქართველოდან, ბარემ ეს ლაბორატორიებიც გააყოლონ ხელს, რომლებიც მუდმივი საფრთხის წყაროა. ძალიან მეეჭვება, რომ ამერიკამ ირანთან ომი დაიწყოს, რადგან ეს მისთვის სრული კრახით დასრულდება. რაც შეეხება ირანელების საქართველოში მასიურად შემოსვლას, ისინი ჩვენს ქვეყანას ტრანზიტად იყენებენ ევროპაში რომ გავიდნენ და დასახლდნენ. ევროპა პირდაპირ არ ღებულობს, ამიტომ ჯერ აქ შემოდიან, ყიდულობენ ჯერ ბინადრობის უფლებას, უძრავ ქონებას, მერე მოქალაქეობასაც და როგორც საქართველოს მოქალაქეები, ისე გადიან ევროპაში. იგივე ვითარება იყო ჩეჩნების შემთხვევაში, ამ თემაზე ადრეც გესაუბრეთ, ქართველებთან ქორწინებას აფორმებდნენ, მათ გვარებს იღებდნენ და როგორც ქართველები, ისე გადიოდნენ ევროპაში, ძირითადად ავსტრიაში, იმიტომაცაა იქ ყველაზე მრავალრიცხოვანი ჩეჩნური დიასპორა. სხვათა შორის, ბევრი ირანელი უკვე ყიდის თავის უძრავ ქონებას, თანაც საკმაოდ იაფად. საქართველოში მავანთ მოქალაქეობის გაყიდვა ფულის შოვნის წყაროდ აქციეს, ცხადია, ეს ხალხი ხელისუფლებაშია მოკალათებული, ამიტომ უნდა გაიწმინდოს ხელისუფლებაც და საერთოდ ქვეყანაც სოროსის ბუდეში გამოზრდილი ლიბერასტებისგან. ვფიქრობ, ეს მალე მოხდება, ბოლოდროინდელი პოლიტიკური პროცესებიც ამას მიანიშნებს“.

ერთ-ერთი ამერიკული გამოცემა წერს, რომ რუსეთი და გერმანია ფარულ ომს აწარმოებენ აშშ-ის წინააღმდეგ, რომ „ჩრდილოეთის ნაკადი-2“ ნატოს დაშლის. ამერიკაში თვლიან, რომ გერმანია და რუსეთი შეთანხმდნენ და ამერიკის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებენ, რისი ქვაკუთხედიც ხსენებული გაზსადენია, რომელმაც შეიძლება ნატო დაასრულოს.

გერმანელები არც მალავენ, რომ ცდილობენ ამერიკის უსაზღვრო გავლენისგან გათავისუფლდნენ. განცხადებაც გაკეთდა, რომ გერმანიის მთავრობა ვაშინგტონს ახალ საგარეო პოლიტიკის სტრატეგიას წარუდგენდა. მისი მთავარი მიზანი ძლიერი და დამოუკიდებელი ევროპის შექმნაა, რომელიც აშშ-ის მხრიდან „წითელი ხაზების“ გადაკვეთას წინ აღუდგება.

როგორ დასრულდება ამერიკა-ევროპის დაპირისპირება, მომავალი გვიჩვენებს. რაც შეეხება საქართველოს, დღეს ალბათ ყველაზე მეტად გვჭირდება გონივრული პოლიტიკა, რომ აქლემების ჭიდაობაში კოზაკივით არ გავიჭყლიტოთ.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

მინამიტოვებულები და მინამიყრილები

თამარ დოლიძე: ჩვენ იმიტომ ვისჯებით, რომ საკუთარი მიწა მივატოვეთ და მთელი სამყაროს მასშტაბით მათხოვრობა დავიწყეთ...

„საერთო გაზეთს“ პოლიტიკური მეცნიერების მაგისტრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი თამარ დოლიძე ესაუბრა:

– მე გახლავართ ყოფილი ჟურნალისტი, პოლიტიკური მეცნიერების მაგისტრი და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი. მიმაჩნია, რომ პროფესიული ცოდნა და მოქალაქეობრივი სტატუსი მორალურ უფლებას მაძლევს, რომ ჩემს თანამოქალაქეებს ორიოდე მართალი და მოკრძალებული და სიტყვა ვუთხრა. ამქვეყნად ყველაფერს აქვს საწყისი და საყრდენი წერტილი. ისტორიულად, ქართველი ეთნოსის საყრდენი

წერტილი ყოველთვის მშობლიური მიწა და აგროსისტემა გახლდთ. ჩვენი სამშობლოს სახელწოდება – გეორგიაც აქედან მოდის, მაგრამ გაუგებარი მიზეზებისა და შიდა თუ გარე ძალების ზემოქმედებით ჩვენს საყრდენ წერტილს მოვწყდით და ქართველმა კაცმა მიწა მიატოვა. მას შემდეგ, მიწამიტოვებული მოქალაქეები ბედის ანაბარა არიან მიმოფანტული მთელ სამყაროში. რა თქმა უნდა, მიწასთან მუშობა მძიმეა და ადამიანები შრომის იოლ გზებს დაეძებენ, მაგრამ ეს გზები ძალიან შეზღუდულია. მომსახურეობის სექტორით, რომელშიც დამატებითი ღირებულება არ იქმნება, ადამიანმა შეიძლება საუკეთესო შემთხვევაში თავის გამოკვება შეძლოს. ამიტომ არის ჩვენი ეკონომიკა ასეთ მდგომარეობაში. რეალურად რომ ვთქვათ, ჩვენ ეკონომიკა არ გვაქვს, რაშიც ანგელა მერკელის ვიზიტმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა.

– გერმანიის კანცლერის ვიზიტის დღეს ჩვენი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო საქართველოსა და გერმანიას შორის ურთიერთვაჭრობისა და ქართული ექსპორტის 36%-იან ზრდაზე საუბრობდა..

– შევთანხმდეთ, რომ მერკელის კავკასიაში ჩამოსვლის მთავარი მიზანი ჩვენი პროდუქციის ექსპორტი კი არა, გაზსადენის პროექტი გახლდთ, რომელიც ფაქტობრივად, რუსეთისა და გერმანიის აქტიური მონაწილეობით კეთდება. პრეზიდენტი ტრამპის ადმინისტრაცია ამ პროექტს ეწინააღმდეგება და მის საპირწონედ ტრანსადრიატიკულ ანუ სამხრეთულ დერეფანს განიხილავს. სწორედ ამ საკითხებისა და თავისი ქვეყნის ინტერესების გამო ჩამოვიდა გერმანიის კანცლერი, რომელიც დაინტერესებულია, რომ აზერბაიჯანის გაზი გერმანიას სამხრეთული დერეფნის გავლით მიეწოდოს. უნივერსიტეტში შეხვედრის დროს, რომელსაც ვესწრებოდი, **ანგელა მერკელმა** სახრეთ კავკასიის ქვეყნებზე ისაუბრა და აღნიშნა, რეგიონში რომ აზერბაიჯანი რეგიონში ყველაზე დაწინაურებული და გამართული ეკონომიკის მქონე ქვეყანაა. სომხეთზე ერთი წინადადებით თქვა, რომ მას ნედლეული არ გააჩნია, ხოლო ჩვენ შეფასების ღირსადაც არ ჩაგვთვალა. ამითი ყველაფერია ნათქვამი.. თუ ჩვენი ეკონომიკა აზერბაიჯანისას ვერ შეედრება, როგორ უნდა შევედაროთ აღმოსავლეთ ევროპის რომელიმე ქვეყანას, თუნდაც პოლონეთს ან რუმინეთს? ძალიან დასაფიქრებელი ფაქტორია, როცა მსოფლიოში მეოთხე ეკონომიკის და ევროკავშირში ეკონომიკის ლიდერი ქვეყნის მეთაური შენს საუნივერსიტეტო სივრცეში აზერბაიჯანზე ლაპარაკობს და პირდაპირ მიგანიშნებს, რომ საქართველო და აზერბაიჯანი სხვადასხვა განზომილებაში არიან. სხვათა შორის, ეს არც ერთ ექსპერტს და პოლიტოლოგს არ აღუნიშნავს. მერკელმა პირდაპირ გვითხრა, ღვთის წილხვედრი ქვეყანა გაქვთ, სადაც ისეთი კლიმატი და გარემო პირობებია, რომელიც უნდა გამოიყენოთ და აგროსექტორს მიხედეთო. მოქალაქეებს საბანკო კრედიტები გაუიაფეთ, რომ წარმოების ამუშავებისა და შემოსავლის მიღების შესაძლებლობა ჰქონდეთო. გერმანიის კანცლერს მეტის თქმის უფლება არა აქვს. ის კანონს ვერ დაგიწერს და მოსამართლეს ვერაფერს დაავალებს.

– მერკელმა საქართველოში დუალური განათლების სისტემის დანერგვის აუცილებლობაზეც ისაუბრა.

– მერკელს დუალური განათლება შემთხვევით არ უხსენებია, რადგან ამ მოდელზე გერმანული ეკონომიკა დგას. დუალური განათლების პრინციპია, რომ თეორია, რომელსაც აუდიტორიებში ვასწავლით, პრაქტიკით იყოს გამყარებული, მაგრამ რომელ პრაქტიკაზეა საუბარი, როცა ქვეყანაში წარმოება არ მუშაობს? თუ წარმოება არ გაქვს, სად გაივლის ადამიანი პრაქტიკას? სწორედ ამიტომ თქვა ქალბატონმა კანცლერმა – ჯერ კრედიტი გააიაფეთ, რომ ადამიანმა საწარმოს გახსნა და ბიზნესის ამუშავება შეძლოსო. როცა ამ ბაზას შექმნით, დუალური განათლებით აღზარდეთ სპეციალისტები და კვალიფიკაცია მიეცითო. ისიც თქვა, გერმანიაში რომ ჩავალ, დავინტერესდები შრომის ბაზარზე რა კვალიფიკაციებია დეფიციტური და კადრებს თუ მოამზადებთ, ჩვენი შრომის ბაზარზე ლეგალური წვდომა გექნებათო. ეს იყო ყველაზე მთავარი, რაც კანცლერმა გვითხრა. თემას დავუბრუნდები და გეტყვით, რომ წარმოების გარდა, არც სოფლის მეურნეობა გვაქვს. აგრარული სექტორი დაცლილი და ტექნოლოგიურად განუახლებელია, ინფრასტრუქტურა საბჭოთა სამეურნეო სისტემიდან დარჩენილი და მოძველებული. ფაქტობრივად, აგრარული სექტორის ყველა დარგი ჩავარდნილია. არ არის მემცენარეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა, მარცვლეული კულტურების წარმოება, მეცხოველეობა..

– „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სოფლის მეურნეობის სფეროში საერთო ინვესტიციების მოცულობამ მილიარდ ლარს გადააჭარბა, თუმცა განსაკუთრებით არ იგრძნობა, რომ ეს სექტორი განვითარდა და წინ წავიდა. როგორ ფიქრობთ რა არის ამის მიზეზი?

– ძალიან მნიშვნელოვან საკითხს შეეხეთ. **ბატონმა ივანიშვილმა** სოფლის მეურნეობაში გარკვეული სუბსიდიები ჩადო, მაგრამ ამას არავითარი უკუგება არ მოჰყოლია. რატომ? იმიტომ, რომ ეკონომიკა არის სამეურნეო სისტემა, რომელსაც თანმიმდევრული, ალგორითმული, კარგად დაგეგმილი და გაწერილი მოქმედებები ჭირდება. რასაკვირველია, შეიძლებოდა იმ ფულის ეფექტიანად გამოყენება, მაგრამ შესაძლოა, ბატონი ბიძინას კეთილი ჟესტით კონკრეტულმა ჩინოვნიკებმა იხეირეს და არა დარგმა. განვითარების ნაცვლად, იმას მივაღწიეთ, რომ უკვე მესამე სამყაროს ქვეყნებში გავდივართ და დახმარება, რომელიც განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნებიდან სხვადასხვა პროექტების სახით მოედინება, უმეტეს შემთხვევაში, დანიშნულების ადგილამდე ვერ აღწევს და ბიუროკრატიულ, ჩინოვნიკურ აპარტში გაიწოვება.

– კი მაგრამ, იმ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს კონტროლის მექანიზმები არ აქვთ, რომ ფულმა ადრესატამდე მიაღწიოს?

– არსად ანგელოზები არ ცხოვრობენ და მღვრიე წყალში ყველა ცდილობს თევზის დაჭერას. ვიღაცა დაინტერესებულია, რომ ფულის მნიშვნელოვანი ნაწილი ე.წ. ატკატების სახით უკან დაბრუნდეს და ასე, წრეზე ტრიალებს ყველაფერი, ხოლო პრობლემა წლების განმავლობაში პრობლემად რჩება.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მიწასთან გასწორებული გერმანია 5 წელიწადში კრიზისიდან გამოვიდა და ფეხზე დადგა. ეს კი იმის წყალობით მოახერხა, რომ გერმანიის **კანცლერმა ერჰარდმა** შესანიშნავი ეკონომიკური დოქტრინა შეიმუშავა. ერჰარდს დახმარება და გრანტები არავისთვის უთხოვია, მხოლოდ შიდა გერმანული რესურსების მობილიზება მოახდინა. ომით განადგურებულ ქვეყანაში დიდი და პატარა შრომობდა. ყველაზე მოთხოვნადი საექსპორტო პროდუქციის წარმოებით დაიწყეს და დღეს ევროკავშირის 27 ქვეყანაში ეკონომიკურად ყველაზე დაწინაურებულები არიან. ჩვენ ასეთი რა მოგვივიდა, რომ 30 წლის განმავლობაში ფეხზე ვერ დავდექით? ვფიქრობ, მიზეზი ერის მენტალური პრობლემაა. არსებობს ვლადიმერ პაპავას მიერ შექმნილი მშვენიერი ტერმინი **ჰომოეკონომიკუსი**. მაგრამ არსებობს ასევე **ჰომოსოვეტიკუსი,** რომელსაც ინდივიდუალური პასუხისმგებლობის განცდა არ გააჩნია და ნებისმიერ საჭიროებაზე სახელმწიფოსკენ იშვერს ხელს: სახელმწიფომ უნდა დაასაქმოს, დაუნიშნოს ხელფასი და ა.შ. სამწუხაროდ, ჩვენში ჰომოეკონომიკუსებს ჰომოსოვიეტიკუსები ჭარბობენ, რაც ქვეყანასაც ეტყობა.. არიან დღეს ქართველი ბიზნესმენები? ადამიანები, რომლებმაც გაძარცვეს ჩვენს მიერ შექმნილი საზოგადოებრივი საკუთრება, ძარცვის შედეგად, დააგროვეს კაპიტალი და მიითვისეს. ეს არის ბიზნესმენობა?

– კონკრეტულად, რომელ ბიზნესმენს გულისხმობთ?

– თუნდაც თემურ ჭყონიას, რომელმაც ბიუჯეტიდან უზარმაზარი კრედიტი აიღო და არ დაუბრუნა. ვანო ჩხარტიშვილს და ა. შ.

ჩემს აღმზრდელ ბიძას, პროფესორ კაცს, რომელმაც მთელი ცხოვრება იმუშავა, თავისი შრომით შექმნილი დანაზოგი წაართვეს და ნულზე დატოვეს. ბიძაჩემის მსგავსად, ასიათასობით ადამიანი გაუბედურდა და ამისთვის ვინმე დაისაჯა?



სანამ ქვეყანაში ეკონომიკური სამართლიანობა არ აღდგება, ევროპულ ოჯახში შესვლაზე ოცნებაც ზედმეტია. სამყაროში იმაზე დიდი დანაშაული რა უნდა იყოს, რომ ადამიანი მთელი ცხოვრება სწავლობდე, შრომობდე და არავის ჭირდებოდე, იმიტომ, რომ ვიღაცის კლანის წევრი არა ხარ. ქალბატონმა მერკელმა, რომელსაც აბსოლუტურად ყველაფერში ვეთანხმები, ბრძანა თქვენი ევროტლანტიკურ სტრუქტურაში და ევროკავშირში გაწევრიანება უახლოეს მომავალში არ მოხდებაო. ეს ადამიანი ყალბი არაფერში ყოფილა და სრული სიმართლე გვითხრა. რაც ჩემთვის, როგორც ეკონომისტისთვის, ყველაზე მთავარია.

საერთოდ, რა გზავნილებიც ქალბატონმა მერკელმა დაგვიტოვა, თუ ჩვენს ხელისუფლებაში ამის გამგები, გულთან მიმტანი და საქმეში გადამტანი ადამიანი არსებობს, სასიკეთო ძვრებისკენ უნდა წავიდეთ, მაგრამ სამწუხაროდ, ასეთი ერთი ადამიანიც კი არ მეგულება. ერთი ქვეყანა მაინც დამისახელეთ, სადაც განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრო გაერთიანებულია.. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ეს არის რაღაც გეოგრაფიული სივრცე, სადაც მიდის გაუგონარი თამაშები. ეს არც სახელმწიფოა, არც პოლიტიკა, არც ეკონომიკა და არაფერი.

ჩვენი ქვეყანა იქცა ტერიტორიად, სადაც აბსოლუტურად ყველაფრის იმპორტი ხდება და ეს იმის ბრალია, რომ საკუთარ თავს გავექეცით. ახალმა პრემიერმა მოსვლისთანავე წამოწია ისეთი ეკონომიკური საკითხები, როგორიცაა ბანკების კრედიტები და დოლარიზაციის შემცირება, მაგრამ ეს არის ძალიან პიარული აქცია და საკითხის სერიოზული გადაჭრის გზები არ ჩანს.

დღეს კიდევ იცით რაზე დგას საზოგადოება? საბჭოთა დროიდან შემორჩენილი სახლი აქვს და ესეც რომ არ ექნება, მივიღებთ ლუმპენ პროლეტარიატს, ანუ მოსახლეობის გაღატაკების მაქსიმალურ ხარისხს.

– საკმაოდ პესიმისტური პროგნოზებია..

– ოპტიმიზმის საფუძველს რა გვაძლევს? ავიღოთ თუნდაც ჩვენი კანონმდებლობა.. ვენეციის კომისია გვეუბნება ჩვენთან, მაგალითად, ბრიტანეთში, გერმანიაში ან საფრანგეთში არის ასეთი საგადასახადო კოდექსიო და ადგენს ჩვენი ტიპის ქვეყნისთვის რომელი მოდელი უფრო მისაღებია. ანუ ჩვენ კი არ ვირჩევთ, ისინი გვიდგენენ და ვიღებთ კანონებს, რომლებიც ისევე დაშორებულია ჩვენს სინამდვილეს და სამეურნეო სისტემას, როგორც მაგალითად, ჩემი და ბილ გეიტსის ფინანსური მდგომარეობა.

ჩვენ სანამ ბუკიკოების ჭკუაზე ვივლით, სულ ასეთი გამობუკიკოებულები ვიქნებით...

ნელი თორდია
571 35 36 88

„ისე მწყურია ვიცოდე ქართული კარგად, როგორც მწყურვალეს წყალი“

ირანში, ფერეიდუნ შაჰრის რაიონში ყველაზე კომპაქტურად ცხოვრობენ საქართველოდან 4 საუკუნის წინათ იძულებით გადასახლებული ქართველები და მათი მთავარი ოცნება, გადაუჭარბებლად ვიტყვი, საქართველოს უკავშირდება.

მე არაერთხელ დავრწმუნდი ამაში.

ისინი საქართველოს ინახავენ ფერეიდანში, რომელსაც ჩვენ სამწუხაროდ, აქ, საქართველოში, ისე უდარდელად ვკარგავთ, როგორც ერთ მუჭა წყალს და არც კი ვფიქრობთ იმაზე, რომ დადგება დრო, როცა ეს უდარდელობა სანანებელი გაგვიხდება...

გასულ კვირას ჩემი ფერეიდნელი მეგობრები შემეხმიანენ და იქაური ქართული ხალხური სიმღერის ბავშვთა ანსამბლის ვიდეოჩანაწერი გამომიგზავნეს. (ვიდეოჩანაწერის ნახვა შეგიძლიათ „საერთო გაზეთი“ ფეისფუქ გვერდზე).

უტკბილესად მღერიან და ისეთ ქართულს ლაპარაკობენ, საქართველოში, ბარე ორს არ ეცოდინება ისეთი თავანკარა და ტკბილი ქართული ლაპარაკი.

დღეს საქართველოში ინგლისურია მოდაში და ქართულ ენას და ტრადიციებს დრომოჭმულად მიიჩნევენ. სამაგიეროდ, ირანში საქართველოს ის 50 000 ქართველი სათუთად ინახავს და გადაუჭარბებლად ვიტყვი, ცივ ნიავსაც არ აკარებს დედაენას.

ისინი საქართველოს მეორე დედას ეძახიან და აქ ჩამოსვლა მათთვის სამოთხეში მოხვედრის ტოლფასი ბედნიერებაა.

მუჰამედ მოლიანი (მოლაშვილი), მისი ძმა ბაჰრამ მოლიანი და რძალი აზამ ასფანანი (ასპანაშვილი) საქართველოს ნამდვილი დესპანები არიან ირანში. ისინი იქ ინახავენ თავიანთ წილ სამშობლოს...

აზამ ასპანაშვილი ქართული ეროვნული ტანისამოსის დიზაინერია და ულამაზეს ქართულ სამოსს ქმნის.

მათი შვილები ქართულად ლაპარაკობენ, ქართულად მღერიან და ცეკვავენ ქართულ ცეკვებს.

მათ კონცერტებს ირანში უამრავი მაყურებელი ჰყავს, ხოლო აზამ ასპანაშვილის დიზაინით შექმნილი ქართული ორნამენტებით გაწყობილი სამოსი პირდაპირ „ბრენდად“ ითვლება.

ისინი ამაყობენ, რომ ქართველები არიან და ირანშიც დიდი პატივისცემით სარგებლობენ.

მუჰამედ მოლიანი (მოლაშვილი): – ახლა აქ ვცხოვრობთ: მოლიანი, გუგუნანი, იოსელიანი, ასფანანი, დათუაშვილი, ასლანაშვილი, ლაჩინანი, ყურჩიანი, დარჩიანი, 19 გვარი არის სულ. იმ დროიდან 19 ნაწილად იყო გაყოფილი მიწა-წყალი შაჰისგან და ჯერჯერობითაც ხელი ვერ უხდენია ვერავის.

იქა არავინ არ ცხორებულა, ოხრად იყო იქაობა. მიწა გაჩუჩუნებულა (მიწისძვრა ყოფილა – ი.კ.) და ყველაფერი მომსპარა. თუ არა, იქა დიდი სოფელი ყოფილა, მხოლოდ გაფუჭებულა.

ჩონ წინაპრებსა იმდენი უბედურება გადოუტანია, მაგრამ თავის ფეხზე თვითონ დამდგარა, იმდენი უმუშავნია. მოუყვანია ჩონ თავი აქამდენა.

ახლა ჩვენ მუსულმანურ წესზე მივდივართ. შიიტი ვართ, მარა ახლა არ მამწონს, არ მამწონს ეს ამბავი.

– მაგალითად, დაქორწინება როგორ ხდება თქვენთან?

– წინათა დედამამამ აირჩიეს და შეაერთეს, ახლა და ახლა მივა-წავა, ნახავს და.

– თქვენ როგორ დაქორწინდით?

– მიველ, ვნახე, ბიძას ბიჭმა წამიყვანა იქა, მაჩვენა და წაველი. მოველაპარაკე და დოუბარეყე, ეს უნდა ვითხოვო და მერე თქეს, დრო მამეციოთო, გაგსინჯოთ-ყეო, დაგაფასოთ რა ფასი გაქო. ერთი წლის უკან მოგიკითხოთო.

– გასინჯვა რას ჰქვია, როგორ ხდება ეს გასინჯვა?

– გასინჯვა როგორაა და რამდენ ოჯახსა, რამდენ ხალხსა გამაჰკითხვენ – ეს მოლიანი რა კაციაო, რა საქმეზეა, რა ფიქრი აქ, ნამუსს შაინახავს-არ შაინახავს, მიხედენ ჩემ დედასა, ჩემ დასა, მიხედენ შორიდან ჩემ ოჯახსა, გასინჯვენ, შავიდეს ეს გოგო თუ არ შავიდეს.

– თქვენი რჩეული რითი მოგეწონათ, როგორი იყო?

– ლამაზ იყო, (ეცინება – ი.კ.) ლამაზ.

– რა გვარის ქალია?

– ყაფლანაშვილი.

– ქართული იცის?

– თეირანში იყო გაზრდილი 20 წელიწადი. ძმასთან და დასთან ოჯახში სპარსულად ლაპარაკობდა, რომ შემოვიდა ჩვენთან, ოჯახში, ვუთხარ: მე სპარსული არ ვიცი, ქართულად დამელაპარაკე. სპარსული ვიცოდი, მარა ისე ვუთხარი, მოვატყუე (იცინის).

ჩვენთან დედა ასწავლის ქალსა გაკეთებას, დალაგებას, კერვას, რომ უნდა გათხოვდეს ქალი, იმან ოჯახის ყველაფერი იცის. ქალმა უნდა იცოდეს საჭმელი გააკეთოს, ბავშვს მოუაროს, დაკეროს.

– მუჰამედ, თქვენ ქართული ვინ გასწავლათ?

– დედამ მასწავლა ლაპარაკი. წერა-კითხვა არ მასწავლა. ჩემ დედამ წერა-კითხვა არ იცოდა. სკოლა არ იყო მაშინ ჩვენთან, მაგრამ გოგოებს ისედაც არ უშვებდნენ, რო წავიდეს სკოლაში. მე რო დავიბადე, სიღარიბე იყო, სინათლე არ იყო სოფელში. მუშია ჩირაღით (ნავთის ლამპა – ი.კ.) ვანათებდით სახლსა. ისეთი ამბავები იყო, ისეთი რომა?! ახლა ტელევიზორი, ინტერნეტი, ისა, ისა, რა მახდენ, ხედავ? რა მახდეენ? (რა მოხდა – ი.კ.) რას მოვესწარ, მაშინ რაის სწავლა და რაი იყო, რას ამბობ, მარა ვისწავლეთ მაინც.

დედა მეტყოდა: – მუჰამად, ადესა, წყალი მოიტა, ადესა, პური მოიტა, ქართულ სიტყოს მეტყოდა. 15 წლისა ვიყავი, სპარსული კარგად არ ვიცოდი. ჩემ დედამ სპარსული არ იცოდა. ჩემ მამიდამ სპარსული ვერ დაისწავლა. ყველა ქართულს ლაპარაკობდა. სპარსული არ იცოდა სახლჩი არავინ.

ისე ძალი ჰქონდა, რო სიტყვა გაიტანა ტვინჩი, ენაზედ, ჩამიდუა ტვინჩი, მე ცოცხალ კაცი გავხდი და შენთან ახლა ჩემ დურად ვცხოვრობ (დასავით ვარ – ი.კ.). მადლობას უბნობ-ყე, და იმ დედასა და დედის ენასა პატივცემა უნდა. იმიტომ ჩავატარეთ ესა, იმ უბედურობაჩი, იმ შიმშილჩი, იმ სიცოცხლობაჩი, ესეთი საქმე ქნა და მე ცოცხალ გამატარა. დედასა ფიქრი ჰქონდა, რომ მე ცოცხალ გავხდე და ქართული გავხდე (ჯანმრთელი ვიყო და ქართველად დავრჩე – ი.კ.) და ვილაპარაკო და იმიტომ პატივსა ვცემ დედის ენასა.

ზოგიერთმა ქართული არ იციან და იმათი ოჯახი გაფუჭებულია, ზოგ ოჯახი ივიწყებს ქართულს, სპარსულს მისდევს, ვლანძღავ-ყე იმასა, შევაჩვენებ-ყე.

– წერა-კითხვა არ იცი ხომ ქართულად, მუჰამედ?

– ვიცი, ისე ვიცი, პირველი კელას (კლასელი – ი.კ.) ბავშვი რომ წაიკითხავს. ახლაც ისე მწყურია ვიცოდე ქართული კარგად, როგორც მწყურვალეს წყალი. ჩემ შვილებმა, დიახ, კარგად იციან. გოგო მყვანს, იმხელა წერა-კითხვა იცის?! ოოო, დიახ.

– გათხოვილი არიან, ხომ თქვენი გოგონები?

– ერთი, მარიამი მყავს გასათხოვარი. საქართველოჩი უნდა გამოუშვა, აქ ისწავლოს, აქ მინდა დაოჯახდეს.

– მუჰამედ, საქართველოში გადმოსახლება არ გინდა?

– კი, მინდა. ფული უნდა მოვაგროვო, რომ სახლი ვიყიდო. მაგრამ ჯერჯერობით ირანჩი ვარ. იქა კარგი სიცოცხლობა არის, აქა ძნელია ჩემი სიცოცხლობა. აქ ცოტა ხელფასია. იქ მაძლევენ 800 დოლარს პენსიას. ოჯახი, ბავშვი, შვილი, ხო უნდა სამუშაო. ხალხი აქ მშიერი ადგები, დაწვები, ასე არ შეიძლება.

ახლა აფხაზეთი და ცხინვალი რო დავკარგეთ, არ მოსწონს ხალხსა. ომი რო ჩატარდა, ძაან წუხდებოდა და ძაან არ უყორდა ხალხსა. საქართველო ამერიკას და რუსეთს შემეევლა (შეეწირა – ი.კ.).

არ უნდა გააკეთოს, თავის თავს უნდა მიხედოს საქართველომ.

– ძალიან დაგქანცეთ, დაგემშვიდობებით დროებით და გაგაცილებთ ქუჩამდე, ვწუხვარ, უცხო ხართ და გზა რომ ვერ გაიგნოთ?

– მადლობთ. არ შეწუხდე. თვითონ წავალ – საქართველოში რა დამკარგავს, ბავშვი დედის კალთაში დაიკარგება?

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

დაუცველია ქვეყანა, სადაც სამოქალაქო თავდაცვის გამართული სისტემა არ არსებობს

2018 წლის 8 აგვისტოს "**Nev Posts**–მა" ინტერნეტში გამოაქვეყნა რუსეთ-საქართველოს 5-დღიანი ომის შედეგები და მიუთითა, რომ ომი, რომელიც XX საუკუნის 20-იან წლებში დამოუკიდებელი საქართველოს ოკუპაციით დაიწყო და არ დასრულებულა, ხასიათდება შემდეგი მაჩვენებლით: დაღუპულია 228 მშვიდობიანი მოქალაქე, 169 სამხედრო, 14 პოლიციელი და 3 ჟურნალისტი, დაჭრილია 1747 ადამიანი. ოკუპირებულია

საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი, 150 000 ადამიანი იძულებული გახდა, საკუთარი სახლი დაეტოვებინა და 30 ათასი დღემდე დევნილობაში რჩება. ეს 2008 წლის რუსეთ–საქართველოს აგვისტოს ომის შედეგია. ომი რომელიც დღესაც გრძელდება.

დღევანდელი მდგომარეობით, საინტერესოა, რა დასკვნები გაკეთდა ომის შემდგომ წლებში იმ დაშვებულ დანაშაულებრივ ქმედებებზე და რამდენად მზადაა ქვეყანა, ახალი გამოწვევების შემთხვევაში, სათანადო რეაგირებისთვის.

2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით შექმნილი კომისიის წევრი. ყოფილი დეპუტატი დიმიტრი ლორთქიფანიძე ომის 10 წლისთავზე აცხადებს, რომ კომისიის მასალები და დასკვნა პარლამენტის საიტიდან გამქრალია. უნდა აღინიშნოს, რომ ბატონი დიმიტრი მუშაობდა იმ საკითხების ანალიზზე, რომელიც მოიცავდა სამოქალაქო თავდაცვის კუთხით გასატარებელ ღონისძიებებს და მან დადო არგუმენტირებული მასალები იმ დარღვევების შესახებ, რამაც გამოიწვია მშვიდობიან მოსახლეობაში დიდი მსხვერპლი და დიდძალი მატერიალური ზარალი.

კომისიის დასკვნების საფუძველზე, საქართველოს ხელისუფლება იძლეოდა პირობას, რომ გაკეთდებოდა დეტალური ანალიზი და შეეცდებოდა იმ ხარვეზების აღმოფხვრას, რაც გამოჩნდა საომარი მოქმედების პერიოდში. მათ შორის, სამოქალაქო თავდაცვის საკითხებში.

ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში დიდ ყურადღებას უთმობენ სამოქალაქო თავდაცვის სისტემის ფუნქციონირებას და იგი ითვლება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად. სისტემას, როგორც მშვიდობიანი დროის საგანგებო ვითარების შემთხვევაში, ასევე საომარი მოქმედების პირობებში, აკისრია უდიდესი როლი მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში და იგი ხელს უწყობს ქვეყნის მდგრადი ფუნქციონირების ამაღლებას საგანგებო ვითარების პირობებში სამოქმედოდ.

სრულყოფილი სამოქალაქო თავდაცვის სისტემის ჩამოყალიბება, პირდაპირ კავშირშია იმასთან, თუ რამდენად არის გათვალისწინებული საერთაშორისო ნორმატიული აქტების მოთხოვნა აღნიშნულ საკითხებში და რამდენად დახვეწილი საკანონმდებლო ბაზა გააჩნია ქვეყანას ამ კუთხით.

2018 წლის 1 მაისს ძალაში შესული საქართველოს კანონი სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ, როგორც 2014 წლის 29 მაისს მიღებული კანონი (გაუქმებულია), ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ ეს კანონიც ნათარგმნია უცხო ქვეყნის კანონიდან და ნაკლებად პასუხობს ქვეყნის მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით სამოქალაქო თავდაცვის კუთხით საერთაშორისო ნორმატიული დოკუმენტებით გათვალისწინებული ამოცანების შესრულების მოთხოვნებს.

კარგი იქნებოდა, თუ სამოქალაქო უსაფრთხოების კანონზე მომუშავე პირები გაანალიზებდნენ მოწინავე ქვეყნების კანონმდებლობას და სამოქალაქო სისტემის მიერ განსახორციელებელ ამოცანას და კანონში ჩამოაყალიბებდნენ, როგორც ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს, როგორც ამას ითვალისწინებს საერთაშორისო სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზაციის წესდება და ამ კუთხით არსებული საერთაშორისო ნორმატიული აქტები.

კანონში უსისტემოდ არის ასახული და გამოყენებული ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციის, 1977 წლის 8 ივნისის დამატებითი ოქმით განსაზღვრული სამოქალაქო თავდაცვის ამოცანები.

როგორც ადრე მიღებულ, ასევე დღეს მოქმედ კანონში გადაჭარბებულადაა გამახვილებული ყურადღება სახანძრო–სამაშველო საქმიანობაზე და ამ სტრუქტურას კანონში მიკუთვნებული აქვს მთავარი როლი მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებში, რაც არანაირ შესაბამისობაში არ მოდის კონვენციის დამატებით ოქმში მითითებულ სამოქალაქო თავდაცვის ამოცანების შესრულებასთან და სახანძრო ქვედანაყოფს, როგორც სხვა სპეციალურ ფორმირებებს, რომლებიც ჩართული იქნებიან სამაშველო საქმიანობაში, სამოქალაქო თავდაცვის ამოცანების მიხედვით, მას აკისრია მხოლოდ თავისი ფუნქციით გათვალისწინებული ამოცანის შესრულება, რაც შემოიფარგლება ხანძართან ბრძოლით. (ეტყობა, სახანძრო სამსახურს კარგი ლობისტი, ან ლობისტები მფარველობენ).

სამოქალაქო თავდაცვის მთავარი ფუნქციაა, მოსალოდნელი საგანგებო ვითარების მასშტაბების პროგნოზის გათვალისწინება. სამოქალაქო თავდაცვის უპირველესი ფუნქცია გახლავთ, როგორც შეირაღებული ძალების, ასევე სარეზერვო ფორმირებების მთავარ სამაშველო ძალად გაერთიანება და მათი გაძლიერება უნდა ხდებოდეს სხვადასხვა სამინისტროებისა და უწყებების სპეციალური დანიშნულების ფორმირებების ხარჯზე. (სადაზვერვო, საინჟინერო, სამედიცინო, სატრანსპორტო, ენერგეტიკა, კომუნალური ქსელები, წყალმომარაგება, სურსათით მომარაგება, საევაკუაციო ადმინისტრაცია, მატერიალური რეზერვი და სხვა დანიშნულების სპეციალური ფორმირებები).

დასანანია, რომ ქვეყანა, რომელიც განიცდის ამ დარგის სპეციალისტების დეფიციტს და არ გააჩნია არანაირი უმაღლესი კატეგორიის სასწავლო დაწესებულება ამ კუთხით, საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანოების ხელმძღვანელობა ყველანაირად თავს არიდებენ ამ სისტემაში ადრე მომუშავე გარკვეული გამოცდილების მქონე პირებთან თანამშრომლობას და კმაყოფილდებიან რომელიმე ქვეყნის ნათარგმნი ნორმატიული აქტებისა და სახელმძღვანელოების გამოყენებით, (ალბათ არსებობს შიში იმისა, რომ არ გამოაშკარავდეს მათი არასაკმარისი ცოდნა დაკისრებულ ამოცანების შესასრულებლად), რის შედეგადაც ზარალდება საერთო საქმე.

25 წელზე მეტია, რაც დამოუკიდებლად არსებობს ქვეყანა და ამ დროის მანძილზე არც ერთხელ საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის საქმიანობაზე კონტროლი არ განხორციელებულა და არავინ იცის მათი მზადყოფნის ხარისხის დონე (გარდა უწყებაში მომუშავე პირებისა). ქვეყნის მმართველობითი ორგანოების ხელმძღვანელები კმაყოფილდებიან საგანგებო ვითარების მცირე მასშტაბების ზონაში სახანძრო–სამაშველო სამსახურის მიერ ჩატარებული სამაშველო საქმიანობით. ვინაიდან ამას გააჩნია სანახაობრივი ეფექტი და ამას კარგად იყენებენ პროპაგანდისთვის, მაგრამ არასდროს არ ამახვილებენ ყურადღებას იმ უსუსურობაზე, რაც ვლინდება შედარებით ფართომასშტაბიანი საგანგებო ვითარების შემთხვევაში. სათანადოდ არ ზრუნავენ სისტემის მატერიალურ–ტექნიკურ უზრუნველყოფის გაუმჯობესებაზე და არ აქცევენ ყურადღებას მოსალოდნელი საგანგებო ვითარების შედეგების მაქსიმალურად შესამცირებლად წინასწარ გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმარება–განხორციელებას.

საქართველოს კანონი საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის შესახებ, 5–ე მუხლის, ა) პუნქტში განმარტავს, რომ მთავრობა საქართველოს კონსტიტუციითა და კანონით დადგენილ ფარგლებში, კოორდინაციას უწევს და აკონტროლებს სამინისტროების, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებისა და სპეციალურ დანიშნულების გასამხედროებული დაწესებულების საქმიანობას. ამავე მუხლის ხ) პუნქტის შესაბამისად ამტკიცებს სამოქალაქო თავდაცვის გეგმას. გაუგებარია, რას ამტკიცებს მთავრობა, როცა ქვეყანას არა აქვს სამოქალაქო თავდაცვის კანონი და არც სამოქალაქო თავდაცვის გეგმა.

ჯუმბერ ხაბურზანია
ქ. თბილისის საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის სამმართველოს ყოფილი უფროსი
599 92 47 63

მესამე სქესი ანუ „ცისფერთა სვასტიკა“



2018 წლის 29 იანვარს მასმედია იუწყებოდა, რომ ესპანეთის პროვინცია ანდალუზიაში პარლამენტის სოციალისტურმა უმრავლესობამ მიიღო კანონი იმის შესახებ, რომ ამიერიდან ლგბტ-იდეოლგია სავალდებულო ხდება სკოლებისთვის, მასობივი საინფორმაციო საშუალებებისთვის და ექიმებისთვის. ხოლო ყველასთვის ცნობილი ორი ბიოლოგიური სქესის არსებობა „ბავშვებისთვის აკრძალულ ინფორმაციად“ ცხადდება, რომელთა გამავრცელებლებს ეკისრებათ ასტრონომიული ჯარიმები. ახალი კანონმდებლობის მიხედვით სკოლებს (მათ შორის ყველა კათოლიკური დაწესებულება, რომლებიც ესპანეთში უხვადაა) ევალება მოსწავლეებს ასწავლონ ჰომოსექსუალიზმის იდეოლოგია, ანუ ფაქტიურად გასწიონ მისი პროპაგანდა. მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში, მათ შორის ინტერნეტსა და სოციალურ ქსელებში იკრძალება მათი კრიტიკა, ვინც დაიბადა „მამაკაცად“ ან „დედაკაცად“, მაგრამ საჯაროდ თავს „არამამაკაცად“ ან „არადედაკაცად“ აცხადებს. ამ კანონის მიხედვით ბავშვებს უფლება

აქვთ მშობელთა ნებართვის გარეშე მიიღონ სქესობრივი მომწიფების საწინააღმდეგო პრეპარატები, ხოლო ჰომოსექსუალისტებისადმი და სქესობრივი იდენტურობის დარღვევის მქონე ნებისმიერი პიროვნებისადმი ფსიქოლოგიური დახმარება ანდალუზიაში დღეიდან კანონსაწინააღმდეგოა და დასჯადი. გარდა ამისა, მთელი საგანმანათლებლო კონტენტი (სასკოლო სახელმძღვანელოთა შინაარსი, ასევე მეცადინეობები და გაკვეთილები) სრულიად გადაწერილ უნდა იქნას ლგბტ-იდეოლოგიის სულისკვეთებით. ჯარიმა მასწავლებლებისთვის, ჟურნალისტებისა და ექიმებისთვის, რომლებიც გაბედავენ და ბავშვებს მოუთხრობენ ორი სქესის შესახებ წარმოადგენს 6000-დან 12 000 ევროს. საფრანგეთში 2017 წლის 25 ივლისს ქვეყნის პარლამენტმა ხმა მისცა წინადადებას ჩასწორებულიყო კანონი, რომელიც მოქალაქეებს უკრძალავს იყონ არჩეულნი, თუკი ისინი ადრე ექვემდებარებოდნენ სისხლის სამართლის დევნას თავისი ერთგულებისთვის ნორმალური ოჯახისა და ტრადიციული საზოგადოებისადმი... მსგავსი საკანონმდებლო და სასკოლო სიახლეების სულისკვეთებით გაასამართლეს აშშ-ში მასწავლებელი ჯენი ნოქსი. როდესაც მის სასწავლო დაწესებულებაში ოფიციალურად გამოაცხადეს „ჰომოსექსუალიზმის თვიური“, ჯენი ნოქსმა გაბედა და ეს აქცია გააკრიტიკა. არა ხმამაღლა, არამედ მხოლოდ თავის საკუთარ გვერდზე სოციალურ ქსელზე ისე, რომ პიროვნულად არავის შეხებია, მაგრამ, მაინც დამნაშავედ სცნეს იგი და სამი წლით აუკრძალეს პედაგოგიური მოღვაწეობა.

ფაქტობრივად ჩვენს თვალწინ ჩნდება ფაშიზმის ახალი სახეობა, სადაც უპირატესობის უმთავრესი კრიტერიუმი უკვე გახლავთ არა რასობრივი, ან კლანურ-გვაროვნული, ან კორპორატიული, არამედ – სოდომური. გარყვნილები – უბერმენშები (ზეკაცები) არიან, ხოლო ყველა დანარჩენი – უნტერმენშები(ანუ ნახევრადადამიანები). დღეს მათ ართმევენ სამსახურს, ხვალ კი, სრულიად მოსალოდნელია, წაართვან სიცოცხლეც კი. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ პროცესის დინამიკაც. ის, რაც მესამე რეიხის ელიტის პათოლოგიურ მიდრეკილებას წარმოადგენდა, XXI საუკუნის ფაშიზმის ახალ წრეზე გახდა იდეოლოგიური დომინანტი, იმპერატივი ყველასთვის.

აღწერილი ტენდენციის პრიზმაში გასაგები ხდება კიდევ ერთი კანონის არსი. კერძოდ, საკმაოდ მჭიდროდ არის დაკავშირებული სოდომური „გენდერის“ დანერგვა „სექსუალური შევიწროვების“ წინააღმდეგ მიღებულ კამპანიასთან. როგორ? იმავე სქემით, როგორც ეს ხდება დასავლეთის ქვეყნებში, სადაც მამაკაცებს ეშინიათ ქალებს მიაქციონ თავაზიანი ყურადღება და გამოიჩინონ მათდამი უწყინარი პატივი – მიაწოდონ პალტო, დაეხმარონ მძიმე ჩანთების ტარებაში, დაუთმონ ადგილი ტრანსპორტში და სხვა – რათა დადანაშაულებულ არ იქნენ „სექსიზმში“ (ანუ ქალებისადმი, როგორც „სუსტი სქესისადმი“ დამოკიდებულებაში), ზოგჯერ კი სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად (სექსუალური შევიწროვება). შედეგად მრავალ მამაკაცში მუშაობას იწყებს თავდაცვითი ინსტინქტი, და ისინი წყვეტენ დაინტერესებას ქალებით. ხოლო მამაკაცთა ყურადღებისა და დაცვის გარეშე დარჩენილი ქალები, თანაც მთელი მსოფლიოს მასშტაბით მიმდინარე სექსუალური პროპაგანდის პირობებში, ექცევიან ლესბოსელობისა და სხვა უმგვანობების ხაფანგებში, რომლებიც არყევენ საზოგადოებრივ მორალს და ანგრევენ ცხოვრებისეულ საფუძვლებს. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, ცნობილი ამერიკული საზოგადო მოღვაწე, იურიდიული მეცნიერების დოქტორი სკოტ დუგლას ლაივლის თავის წიგნში „ცისფერი სვასტიკა“ მრავალ წყაროზე დაყრდნობილ სერიოზულ, დამაფიქრებელ კვლევას გვთავაზობს, მოულოდნელი დასკვნებით, თურმე, ჰომოსექსუალური მოძრაობა გერმანიაში იყოფოდა ორ მტრულ ბანაკად: ქალური და, პირიქით, ზე-მამაკაცური ტიპის ჰომოსექსუალურ მიმართულებებად.

დაახლოებით 1920 წელს, – წერს ლაივლი, – „მამრები“ უკვე დამოუკიდებელ და სერიოზულ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდნენ. 1920 წ. მათ ჩამოაყალიბეს „ადამიანის უფლებათა დაცვის საზოგადოება“... როგორც ჰირშფილდი, ისინიც იბრძოდნენ ჰომოსექსუალიზმისთვის სისხლის სამართალში მიცემის გაუქმებისთვის.

„მეტოქეობა ორ გადამტერებულ ჰომოსექსუალურ დაჯგუფებას შორის – დამთავრდება მაშინ, როცა „მამრები“ ნაცისტური პარტიიდან 1933 წელს მოვლენ ხელისუფლებაში, – აგრძელებს ლაივლი – ასე რომ „გრძელი დანების ღამე“ – გახლავთ არა სექსუალური, არამედ პოლიტიკური უთანხმოებების შედეგი...

XX ს-ის დასაწყისის გერმანიაში გაჩნდა ახალგაზრდული მოძრაობა „ვანდერვეჰელ“ („გადამფრენი ფრინველები“ ან „მოხეტიალენი“), რომლებიც ორგანიზებული იყო ახალგაზრდა გარყვნილების მიერ. 1905 წელს მასში შედიოდა 100-მდე მოზარდი, მაგრამ შემდეგ, მთელი ევროპის მასშტაბით გაჩნდა ანალოგიური ჯგუფები და ამ მოძრაობაში ჩათრეულთა რაოდენობამ

60 ათას ადამიანს მიაღწია.

განსაკუთრებით აქტიურობდა ჰიმლერის ოფიციალური ორგანო **Das Schwarze Korps**-ი, და გამოიყენებოდა როგორც ბაზისი გერმანული საზოგადოებრივი კულტურისთვის. ნაცისტების ელიტის წევრებს ირჩევდნენ ცალკეული „მამრების“ საზოგადოებებიდან, რომელთაც ორდენსბურგენი ეწოდებოდათ. ისინი განკუთვნილნი იყვნენ ოჯახის, როგორც საფუძვლის შემცველელებად, რომელზეც შენდება სახელმწიფო“ ეს საზოგადოებები ჩამოყალიბებული იყო „ვანდერვეჰელის“ მიხედვით. შემდეგში, როგორც ლაივლი წერს, არა მარტო „ვარნდერვეჰელის“ წარმოჩიტული წევრები გახდნენ ჰიტლერის ერთ-ერთი უმთავრესი

მხარდამჭერები ძალაუფლებაში მისი მოსვლის პერიოდში, არამედ თვით მოძრაობა აღმოჩნდა ნაცისტური ორგანიზაციის „ჰიტლერიუგენდის“ ცენტრი.

ბუნების საწინააღმდეგო ვნებები, რაც ასევე ექვემდებარება ახსნას. თვით სიტყვა „ბუნებისსაწინააღმდეგო“ შეიცავს მინიშნებას. ეს არის ღმრთის მიერ შექმნილი ბუნების საწინააღმდეგო მოქმედება. შესაბამისად, ადამიანური ბუნების გარყვნა შეიცავს ბრძოლას და დაპირისპირებას წმიდა შემოქმედისადმი. შემთხვევით როდი ნერგავენ სოდომიას დემონურ და სატანურ კულტთა პრაქტიკაში. მრავალ ოკულტურ სექტაში სოდომური აქტი ინიციაციის როლს თამაშობს, და წარმოადგენს რიტუალურ განდობას, როდესაც ახალი ადეპტი მისტიკურ დონეზე ეზიარება შესაბამისი სულიერი არსებების სამყაროს – დემონებს. დღეს, თუ ინტერნეტს გამოვიყენებთ, ადვილად ვიპოვით მრავალ ისტორიულ ფაქტს მოცემულ თემაზე, ამიტომაც მოვიტანთ მხოლოდ ორიოდ ციტატას „ცისფერი სვასტიკიდან“. „მანიქეველთა სექტა სახელწოდებით „ბოგომილები“ (მოგვიანებით „კათარები“) საკმაოდ გავრცელდა ბულგარეთსა და ევროპაში. ჰომოსექსუალიზმი იმდენად მჭიდროდ ასოცირდებოდა ამ მწვალებლებთან, რომ მათი პრაქტიკა ცნობილი იყო როგორც ბუგგერე – სოდომია. ევროპაში კათარების აღმნიშვნელი სიტყვა მამათმავალთა აღმნიშვნელ სიტყვად გადაიქცა: გერმანიაში – კეტზერ, იტალიურში – გაზარრო და ფრანგულში – ჰერიტე... მწვალებლობა და ჰომოსექსუალიზმი იმდენად ურთიერთშეთავსებადი აღმოჩნდნე, რომ მწვალებლობებში დადანაშაულებულნი ხშირად ცდილობდნენ დაემტკიცებინათ თავიანთი უდანაშაულობა ჰომოსექსუალიზმში და თავს ჰეტეროსექსუალებად აცხადებდნენ“

აი რას წერს სტატიაში ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ნ. ჩეტვერიკოვა:

„სოდომიზმი მარტო რიტუალური აქტი არ გახლავთ, ეს რელიგიაა, რომელიც პასუხისმგებლობას იღებს ღმრთის ხატის დამახინჯებისთვის და უფალს აცხადებს ეშმაკად. ყველაზე სრულად ეს წარმოდგენილია კაბალაში, საიდუმლო იუდეველურ მოძღვრებაში, რომელიც იუდეველთა ბაბილონში ტყვეობის დროს ჩამოყალიბდა. რომის იმპერიაში ქრისტეანობის აღიარებიდან და დამკვიდრებიდან მოყოლებული ვიდრე XIX საუკუნემდე, მამათმავლობა დასავლეთში განიხილებოდა როგორც გარყვნილება, რომელიც ადამიანის შეგნებული და თავისუფალი არჩევანის შედეგია.

სიყვარულის უარყოფით, გნოსტიკოსები და მანიქეველები ქორწინებასაც უარყოფდნენ და შთამომავლობის გაგრძელებასაც, რადგან ქორწინებას დაცემულთა და მდაბიოთა ხვედრად მიიჩნევდნენ. მაგალითად, გნოსტიკოსი მარკიონი აცხადებდა, რომ ქორწინებისგან თავშეკავებით, კაცობრიობის მოდგმის გაგრძელებაზე უარის თქმით, თვით შემოქმედს უპირისპირდება. წაართვეს რა ადამიანებს ქორწინების საიდუმლო და შეცვალეს რა იგი მამათმავლობით, გნოსტიკოსები ამტკიცებდნენ, რომ კაცობრიობა გაათავისუფლეს შეწყვილებული ინდივიდუალიზმისგან, სიყვარულისა და ოჯახის ეგოიზმისგან“.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

- მაინტერესებს სამეზობლო სამართლის თემა.

- თქვენთვის საინტერესო საკითხს მოიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-2 თავი, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ სრულად:

თავი მეორე

სამეზობლო სამართალი

მუხლი 174. ცნება. ურთიერთპატივისცემის მოვალეობა

მეზობელი მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრენი, გარდა კანონით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობებისა, ვალდებულნი არიან პატივი სცენ ერთმანეთს. მეზობლად მიიჩნევა ყველა ნაკვეთი ან სხვა უძრავი ქონება, საიდანაც შესაძლებელია გამომდინარეობდეს ორმხრივი ზემოქმედება.

მუხლი 175. სამეზობლო ზემოქმედებათა თმენის ვალდებულება

1. მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრეს არ შეუძლია აკრძალოს მეზობელი ნაკვეთიდან თავის ნაკვეთზე გაზის, ორთქლის, სუნის, ჭვარტლის, კვამლის, ხმაურის, სითბოს, რყევების ან სხვა მსგავს მოვლენათა ზემოქმედებანი, თუკი ისინი ხელს არ უშლიან მესაკუთრეს თავისი ნაკვეთით სარგებლობაში, ან უმნიშვნელოდ ხელყოფენ მის უფლებას.

2. იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როცა ზემოქმედება არსებითია, მაგრამ იგი გამოწვეულია სხვა ნაკვეთით ან სხვა უძრავი ქონებით ჩვეულებრივი სარგებლობით და არ შეიძლება მისი აღკვეთა ისეთი ღონისძიებებით, რომლებიც ამ სახის მოსარგებლეთათვის ნორმალურ სამეურნეო საქმიანობად მიიჩნევა.

3. თუ მესაკუთრე მოვალეა ითმინოს ასეთი ზემოქმედება, მას შეუძლია ზემოქმედების გამომწვევი ნაკვეთის მესაკუთრეს მოსთხოვოს შესაბამისი ფულადი კომპენსაცია იმ შემთხვევაში, როცა ზემოქმედება აღემატება მოცემულ ადგილას ჩვეულებრივად მიჩნეულ სარგებლობას და ეკონომიკურად დასაშვებ ფარგლებს.

მუხლი 176. დაუშვებელი ხელყოფა

მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მეზობელ ნაკვეთებზე ისეთი ნაგებობების აშენების ან ექსპლუატაციის აკრძალვა, რომლებიც დაუშვებლად ხელყოფენ ნაკვეთით სარგებლობის უფლებას და ეს იმთავითვე აშკარაა.

მუხლი 177. საფრთხის აღკვეთის მოთხოვნა

თუ მიწის ნაკვეთს მეზობელი ნაკვეთიდან შენობის ჩამოქცევის საფრთხე ემუქრება, მესაკუთრეს შეუძლია მეზობელს მოსთხოვოს აუცილებელ ღონისძიებათა გატარება ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად. დაუშვებელია რამდენიმე მიწის ნაკვეთზე გამდინარე წყლებისა და მიწისქვეშა წყლების მიმართულების შეცვლა ან ამ წყლებით მანიპულირება ისე, რომ ამან სხვა მიწის ნაკვეთზე წყლის რაოდენობის შემცირება ან/და ხარისხის გაუარესება გამოიწვიოს; დაუშვებელია მდინარეთა ბუნებრივი დინების ხელყოფა.

მუხლი 178. მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრის უფლება ნაყოფზე

1. თუ ხის ან ბუჩქის ნაყოფი მეზობელ მიწის ნაკვეთზე დავარდა, იგი ჩაითვლება ამ ნაკვეთის ნაყოფად.

2. მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია მოჭრას იმ ხის ან ბუჩქის ფესვები, ტოტები, რომლებიც მის ნაკვეთზე გადავიდა.

მუხლი 179. ფულადი კომპენსაცია თმენის ვალდებულებისათვის

1. თუ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე მშენებლობის დროს გაზრახვის გარეშე გადასცდა მეზობელი ნაკვეთის საზღვრებს, მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრემ ეს უნდა ითმინოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამის წინააღმდეგ წინასწარ ან შეტყობისთანავე განაცხადა.

2. საზღვრის დამრღვევი მეზობელი ვალდებულია გადაიხადოს ფულადი კომპენსაცია, რომელიც ყოველწლიურად წინასწარ უნდა იქნეს გადახდილი.

მუხლი 180. აუცილებელი გზა

1. თუ მიწის ნაკვეთს არა აქვს ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი კავშირი საჯარო გზებთან, ელექტრო-, ნავთობის, გაზისა და წყალმომარაგების ქსელთან, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მეზობელს მოსთხოვოს, რომ მან ითმინოს მისი მიწის ნაკვეთის გამოყენება ამგვარი აუცილებელი კავშირის უზრუნველსაყოფად. იმ მეზობლებს, რომელთა ნაკვეთზედაც გადის აუცილებელი გზა ან გაყვანილობა, უნდა მიეცეთ შესაბამისი კომპენსაცია, რომელიც, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება ერთჯერადი გადახდით გამოიხატოს.

2. აუცილებელი გზის ან გაყვანილობის თმენის ვალდებულება არ წარმოიშობა, თუკი უკვე არსებული დაკავშირება მიწის ნაკვეთისა გაუქმდა მესაკუთრის თვითნებური მოქმედებით.

მუხლი 181. სასაზღვრო მიჯნის აღმართვის მოვალეობა

1. მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრეს მოსთხოვოს მონაწილეობის მიღება მყარი სასაზღვრო მიჯნის აღმართვაში, ან უკვე არსებული, მაგრამ წაშლილი ან დაზიანებული მიჯნის აღდგენაში. გამიჯვნის ხარჯები მეზობლებს შორის თანაბრად ნაწილდება, თუ ურთიერთშეთანხმებით ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. თუ შეუძლებელია ზუსტი საზღვრის დადგენა, მაშინ გასამიჯნავად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მეზობლების ფაქტობრივ მფლობელობას. თუ შეუძლებელია ფაქტობრივი მფლობელობის ზუსტი დადგენა, მაშინ სადავო ნაკვეთი თანაბრად განაწილდება ნაკვეთებს შორის. თუკი ეს განაწილება იწვევს უსამართლო შედეგებს, მაშინ ერთ-ერთი მხარის განცხადების საფუძველზე საზღვარს დაადგენს სასამართლო.

მუხლი 182. სასაზღვრო ნაგებობით სარგებლობის უფლება

1. თუ მიწის ორი ნაკვეთი ერთმანეთისაგან გამიჯნულია ღობით ან საზღვრად გამოყენებული სხვა ნაგებობით, ივარაუდება, რომ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებს აქვთ თანაბარი უფლება ისარგებლონ ამ ნაგებობით, თუკი ნაგებობის გარეგნული მხარე პირდაპირ არ მიუთითებს, რომ იგი მხოლოდ ერთ-ერთი მეზობლის საკუთრებაა.

2. თუ ორივე მეზობელი უფლებამოსილია ერთობლივად ისარგებლოს საზღვრად გამოყენებული ნაგებობით, თითოეულ მათგანს შეუძლია ნაგებობა მხოლოდ ისე გამოიყენოს, რომ ამით ხელი არ შეუშალოს მეორე მეზობელს თანასარგებლობაში.

3. ნაგებობის მოვლისა და შენახვის ხარჯები მეზობლებს შორის თანაბრად ნაწილდება.

4. ვიდრე ერთ-ერთი მეზობელი დაინტერესებულია ამ სასაზღვრო ნაგებობის არსებობით, დაუშვებელია მისი აღება ან შეცვლა მეზობლის თანხმობის გარეშე.

* * *

- ვინ არიან კერძო სამართლის სუბიექტები?

- თქვენთვის საინტერესო საკითხს მოიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლი, რომლის შინარსსაც წარმოგიდგენთ სრულად:

მუხლი 8. კერძო სამართლის სუბიექტები

1. კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი. ეს წესი გამოიყენება როგორც სამეწარმეო, ასევე არასამეწარმეო, საქართველოსა თუ სხვა ქვეყნის პირების მიმართ.

2. სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების კერძოსამართლებრივი ურთიერთობები სხვა პირებთან ასევე წესრიგდება სამოქალაქო კანონებით, თუკი ეს ურთიერთობები, სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, არ უნდა მოწესრიგდეს საჯარო სამართლით.

3. სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი.

* * *

– მოვალემ გადამიცილა გასესხებული თანხის გადახდის ვადას. შემიძლია თუ არა გადაცილებული დღეებისათვის მოვთხოვო პროცენტებით ან პროცენტიდან პროცენტის გადახდა?

– დიახ, შეგიძლიათ, თუ ეს საკითხი განხილულ იყო ხელშეკრულების დადებისას და და აღნიშნული მითითებულია ამ ხელშეკრულებაში. დაგიკონკრეტებთ სამართლებრივ ნორმებზე მითითებით:

მუხლი 403. პროცენტის გადახდა ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისას

1. მოვალე, რომელიც ფულადი თანხის გადახდის ვადას გადააცილებს, ვალდებულია, გადაცილებული დროისათვის გადაიხადოს მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პროცენტი, თუ კრედიტორს, სხვა საფუძვლიდან გამომდინარე, უფრო მეტის მოთხოვნა არ შეუძლია.

2. ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისას პროცენტიდან პროცენტის გადახდევინება დასაშვებია მხოლოდ ხელშეკრულებით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში.

კომპიუტერების ყველაზე საბედისწერო შეცდომები

კომპიუტერი დიდი ხანია, ჩვენი ცხოვრების ნაწილად იქცა. რთული, მიკროსქემებით აღჭურვილი მოწყობილობების გარეშე წარმოუდგენელია თანამედროვე არმია, მედიცინა და მრეწველობა. მაგრამ, რაც უფრო რთულია დანადგარი, მით უფრო მეტია მისი დაზიანების შანსი. სტატისტიკა ნათელყოფს, რომ კომპიუტერის დაზიანების მიზეზი ყველაზე ხშირად ძალიან პატარა, თითქმის შეუმჩნეველი ბაგი ხდება.

მებრძოლი კენგურუები

პროგრამაში არსებულ მცირე შეცდომას ბაგი ეწოდება (ინგლ. მწერი). ეს სახელწოდება 1954 წელს გაჩნდა, როდესაც ჰარვარდის უნივერსიტეტის მეცნიერებმა, „პროგრამირების ბებიის“ გრეის მიურეი ჰოპერის ხელმძღვანელობით, ლეგენდარული პირველი კომპიუტერის მრავალრიცხოვან რელეებსა და კონტაქტებს შორის გაჭედილი ჩვეულებრივი ფარვანა აღმოაჩინეს.

მწერი მოკლე ჩართვას იწვევდა და კომპიუტერის მუშაობას აფერხებდა.

ბაგებთან დაკავშირებული სახალისო შემთხვევა მოხდა ავსტრალიის სამხედრო-საჰაერო ძალებში. ხელმძღვანელობამ პროგრამისტებს დაავალა, კომპიუტერში მოეხდინათ კენგურუს ქცევის მოდელირება ჰაერში საბრძოლო ვერტმფრენების გამოჩენისას. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ჯარებში გამოიყენება კომპიუტერული თამაშები, საბრძოლო მანქანების მომავალი პილოტებისთვის სანმხედრო ტექნიკის იმიტატორები. ამ პროგრამებში მთავარია საბრძოლო მდგომარეობასთან მიახლოებული გარემოების შექმნა — ლანდშაფტი, ტექნიკა, „მტრები“, ყველაფერი „ნამდვილს“ უნდა ჰგავდეს.

ავსტრალიის ჯარში ამგვარი პროგრამები — ჯარისკაცებით, ტანკებით, ვერტმფრენებით უკვე არსებობდა, მაგრამ მათში კენგურუები არ ფიგურირებდა. პროგრამისტები საქმე შეუდგნენ და ზედმეტი შრომის თავიდან ასაცილებლად უკვე მზა პროგრამირებული ობიექტი — ფეხოსანი არმია აიღეს და ჯარისკაცები კენგურუებით შეცვალეს.

პროგრამის დემონსტრირებას აშშ-ის არმიის უმაღლესის სამხედრო პირები ესწრებოდნენ. ყველაფერი მშვენივრად დაიწყო: ვერტმფრენები „აფრინდა“, მშვიდად მობალახე კენგურუების ჯგუფი დაფეთებული აქეთ-იქით გაიფანტა, მაგრამ აქ უცნაურობები დაიწყო: კენგურუები, რომლებიც გორაკებს მოეფარნენ, უცებ შეჯგუფდნენ და საიდანღაც გამოჩენილი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების მეშვეობით ვერტმფრენებზე შეტევა განახორციელეს — ჩამოაგდეს რამდენიმე საბრძოლო მანქანა, ვიდრე საბოლოოდ ნირწამხდარმა ავსტრალიელებმა პროგრამის ჩვენება არ შეწყვიტეს. ამერიკელები შოკში ჩავარდნენ, მაგრამ, იქნებ, კენგურუებს მართლაც შეუძლიათ ბრძოლა?

ყველაფერი კი პროგრამისტების პატარა შეცდომის ბრალი იყო — როდესაც ჯარისკაცები კენგურუებით შეცვალეს, მათთვის იარაღის „ჩამორთმევა“ დაავიწყდათ და, შედეგად, კენგურუებმა შეტევა განახორციელეს.

მკვდარი ზღვის საიდუმლოება

შედარებით ნაკლები ზიანის მომტანად გამოიყურებოდა ისრაელის სამხედრო საჰაერო ძალების კომპიუტერების შეფერხება. რამდენიმე გამანადგურებელზე ავტოპილოტის კომპიუტერზე ახალი პროცესორები დააყენეს და ისინი გამოსაცდელ გაფრენაზე გაუშვეს ქვეყნის საზღვრის გასწვრივ.

ყველაფერი კარგად მიდიოდა, ვიდრე მფრინავებმა მკვდარ ზღვას არ მიაღწიეს. როორც კი პირველი თვითმფრინავის ქვეშ ზღვა გამოჩნდა, ავტოპილოტი მწყობრიდან გამოვიდა და მფრინავები ხელით მართვაზე გადავიდნენ. ასე დაემართა ყველა თვითმფრინავს.

ინჟინრებმა დიდხანს იმტვრიეს თავი, ვიდრე არ მიაგნეს კომპიუტერის პროგრამაში არსებულ პაწაწინა უზუსტობას. საქმე ის გახლავთ, რომ ახალი ავტოპილოტი თვითმფრინავის სიმაღლის ათვლას მსოფლიო ოკეანის ნულოვანი ნიშნულიდან იწყებდა, მკვდარი ზღვა კი ამ დონეზე დაბლა მდებარეობს. იმ მომენტში, როცა გამანადგურებელი მკვდარ ზღვას გადაუფრენდა, კომპიუტერი ნულზე გაყოფას იწყებდა და „ჭედავდა“.

სასიკვდილო შეცდომები

ზემოთჩამოთვლილი შემთხვევები ყველაზე უსაფრთხო შეცდომების შედეგებია, მაგრამ ზოგჯერ

შეცდომების მსხვერპლი ადამიანიც ხდება.

2000 წლის ნოემბერში პანამის კიბოს ნაციონალურ ინსტიტუტში ძალიან უსიამოვნო ინციდენტების მთელი სერია მოხდა. ამ დაწესებულებაში კიბოს მკურნალობა რადიაციული დასხივების საშუალებით ხორციელდებოდა.

დასხივების დოზის გამოსათვლელად გამოიყენებოდა ერთი სერიოზული ამერიკული ფირმის კომპიუტერული პროგრამა, რომელიც ექიმს შესასძლებლობას აძლევდა, დაეხატა ლითონის დამცავი ფარების განლაგება, რომლებიც ორგანიზმს რადიაციისგან იცავდა და ღიად დაეტოვებინა მხოლოდ ის უბანი, რომელზეც დასხივება უნდა მომხდარიყო. მაგრამ პროგრამა მხოლოდ ოთხი ფარით მანიპულირების საშუალებას იძლეოდა, მაშინ, როცა ექიმებს ხუთი ფარის გამოყენება სურდათ. მათ გამონახეს კომპიუტერის „მოტყუების“ გზა — დახატეს ფარების ერთიანი ბლოკი შუაში თავისუფალი უბნით. ერთადერთი რამ, რაც მათ არ იცოდნენ, ის იყო, რომ პროგრამა რადიაციის სხვადასხვა დოზებს იმის მიხედვით ცვლიდა, თუ სად იყო დახატული დაუფარავი უბანი. სხვადასხვაგვარად დახატული თავისუფალი ზონის შემთხვევაში რადიაციის დოზა მატულობდა.

ექიმების ამგვარი ქმედების შედეგად რვა პაციენტი დაიღუპა, ოცმა კი დასხივების მაქსიმალური დოზა მიიღო. მედიკოსები მკვლელობის გამო გაასამართლეს.

კოსმოსური დანაკარგები

კოსმოსური პრობლემები, რომლებსაც პროგრამების შეცდომები იწვევდა, დიდი ხნის წინათ დაიწყო. 1962 წლის 28 ივლისს ამერიკული კოსმოსური აპარატი „მარინერ-1“ ვენერის მიმართულებით გაფრინდა.

ანტენის დაზიანების გამო ხომალდმა დედამიწის მართვის სანსახურთან კავშირი დაკარგა და საკუთარი პილოტირების სისტემაზე გადავიდა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ამ სისტემის პროგრამირების დროს პატარა შეცდომა მოხდა — ფორმულის შეყვანის დროს ერთ-ერთ ინჟინერს ერთი სიმბოლო გამორჩა. შედეგად აპარატი სხვა მიმართულებით გაფრინდა და ამის გამო ის ატლანტის ოკეანის თავზე ააფეთქეს.

უფრო უსიამოვნო ინციდენტი 1996 წლის 4 ივნისს მოხდა. ახალი რაკეტა-გადამზიდი „არიან-5“, რომლის შექმნაზე ათი წელი და 7 მლრდ დოლარი დაიხარჯა, სტარტიდან 40 წამის შემდეგ აფეთქდა. რაკეტა და დანადგარები, რომლებიც 500 მლნ დოლარი ღირდა, ნაფლეთებად იქცა. რაკეტის განადგურების მიზეზი გახდა, როგორც ადამიანური ფაქტორი, ასევე კომპიუტერული შეცდომების ჯაჭვი. პროგრამისტებმა, რომლებმაც „არიან-5“-ის მართვის სისტემა „არიან-4“-ის სისტემიდან გადააკეთეს, არ გაითვალისწინეს, რომ ახალი რაკეტა უფრო სწრაფად იფრენდა.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)

ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:
ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან) ტელ: 557 358 900, 34 21 63

საერთო ფაფეთი

მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983
9 772233 398001